საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№59 (9890) 2025 წლის 25 აპრილი, პარასკევი

ფრთიდან ფრანტიშეკი: „ეროვნული ინტერესი“

გელა მაჩაიძე: მალე სამთო სამუშაოების ჩავარდნის შედეგად მიღებული ზარალი ოკუპირებული ტერიტორიებისგან მიღებულ მატერიალურ ზარალს გადააჭარბებს!

იხ. 4-5 გვ.

უკვდავების ბინადარი

დიდი შემოქმედი ზურაბ წერეთელი

6

„წერეთლის ფენომენი“ — გასრულება და გაგრძელება!

26 აპრილი მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეა



ყოველ წელს 26 აპრილი მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დღედ აღინიშნება, რომლის მთავარი მიზანი ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

ამ დღეს ყველას საშუალება ეძლევა, გააცნობიეროს, თუ რა წვლილი შეაქვს ინტელექტუალურ საკითხებს ხელოვნებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებაში, რაც თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებას ხელს უწყობს.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გულითადად ულოცავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს და შემოქმედებით საქმიანობაში დიდ წარმატებას უსურვებს!

თამაზ შილაკაძე, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

თეიმურაზ ქორიძე:

პარტიის აკრძალვა შეიძლება იყოს სამართლიანი...

ქართულ სასამართლოს დღევანდელი მაფურთხებელი, მოყვირალ-მოყაყანე ოპოზიციის აკრძალვისთვის მტკიცებულებების მოძიება გაუჭირდება!..

სიმონ კილაძე:

ეშმაკი დეტალებში იმალება!

აშშ-ის სამშვიდობო გეგმის დებულებები

5

სარგებელი კრემლისათვის: რას იტყვის ევროპა?

9

მარკო რუბიოს ვიზიტი: რა მოჰყვება მის გაუქმებას!

გვარების წინამძღოლთა დარბაზის გვერდი

იხ. 8 გვ.

ღმერთმა გვიმრავლოს ფცქიალაძეები!..

ინფრასტრუქტურის მინისტრი რევაზ სოხაძე იქნება

ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ქარსელაძეს რევაზ სოხაძე შეცვლის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ ირაკლი ქარსელაძეს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქარსელაძე წარმატებით ხელმძღვანელობდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ირაკლი კობახიძემ ინფრასტრუქტურის მინისტრის პოზიციაზე რევაზ სოხაძეს წარმატებები უსურვა.

რევაზ სოხაძე არის ჩვენი პოლიტიკური გუნდის სტაჟიანი წევრი. მას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ – მედიცინის, შემდეგ ფინანსების სპეციალობით.

რევაზ სოხაძე წლების განმავლობაში მუშაობდა კერძო სექტორში, მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე და 2017 წლიდან ბატონი რევაზი არის თბილისის საკრებულოს წევრი, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და თბილისის საკრებულოს ურბანული განვითარების კომისიის თავმჯდომარე. მინდა, ბატონ რევაზს ვუსურვო წარმატებები ინფრასტრუქტურის მინისტრის პოზიციაზე, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

საქართველოში უახლოეს პერიოდში საავალუტო ფონდის მისია ჩამოვა!

აშშ-ში, სსფ-სა და მსოფლიო ბანკის საგაზაფხულო შეხვედრების ფარგლებში შევხვდით საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ და ალტერნატიულ დირექტორებს, – განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **ნათია თურნავამ** საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორ იერუნ კლიკსა და ალტერნატიულ დირექტორ მარნიქს ვან რეისთან შეხვედრის შემდეგ.

„ვისაუბრეთ საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ასევე, ვისაუბრეთ შემდგომ მისიაზე, რომელიც საქართველოში უახლოეს პერიოდში ჩამოვა და გვექნება უფრო საგნობრივი დისკუსია შემდგომი თანამშრომლობის ძირითადი საკითხების შესახებ, – განაცხადა **ნათია თურნავამ.**



საინაუგურაციო ბიბლია და კონსტიტუცია პარლამენტარიზმის მუზეუმს გადაეცა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა პრეზიდენტის საინაუგურაციო ბიბლია და საქართველოს კონსტიტუცია „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმს“ გადასცა.

„პრეზიდენტის საინაუგურაციო ბიბლია და საქართველოს კონსტიტუცია „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქართული პარლამენტარიზმის მუზეუმს“ გადავეცი. საინაუგურაციო ბიბლიის გამოცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სპეციალურად საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიისთვის დამზადდა. საინაუგურაციო ბიბლია შემკულია დავით კაკაბაძის სახელოსნოში დამზადებული ხელნაკეთი ქართული ტიხრული ფილიგრანით.

ბიბლიის წინა მხარეს არის ქართული ტრადიციული ტიხრული მინანქრით შესრულებული ხატების გამოსახულებები. ცენტრში გამოსახულია ყოვლადწმინდა სამების ხატი, რომელიც შესრულებულია კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაწერილი ხატიდან. ყოვლადწმინდა სამების ხატის გარშემო ტიხრული მინანქრით შესრულებულია ოთხი მახარებლის – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს – ხატის გამოსახულება. ბიბლიის უკანა მხარე შემკულია მე-11 საუკუნის ქართული ტიხრული ფილიგრანით. მასზე ქართული ფილიგრანებითა და ორნამენტებით სიმბოლურად გამოსახულია საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა.

ასევე, სპეციალურად ინაუგურაციისთვის დაიბეჭდა საინაუგურაციო კონსტიტუციის სამი თანაბარწონადი ორიგინალი, საიდანაც ერთი განთავსებული იქნება საქართველოს პარლამენტის მუზეუმში, მეორე გადაეცა ეროვნულ ბიბლიოთეკას, მესამე კი – ეროვნულ არქივს. 2024 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაზე საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას, რომლის თანახმად, საქართველოს არჩეული პრეზიდენტები ღვთისა და ერის წინაშე ფიცს სწორედ ამ საინაუგურაციო ბიბლიასა და კონსტიტუციაზე დადებენ“, – წერს **შალვა პაპუაშვილი.**

ქართულ სასამართლოს დღევანდელი მაფურთხებელი, მოყვირალ-მოყაყანე ოპოზიციის აკრძალვისთვის მტკიცებულებების მოძიება გაუჭირდება!..

პარტიის აკრძალვა შეიძლება იყოს სამართლიანი...

საერთაშორისო ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლე, მათი მოადგილეები და ათი ბრალმდებელი. მთავარი მოსამართლე გახლდათ ბრიტანელი ლორდი ლოურენსი.

ვფიქრობ, საინტერესოა, კერძოდ, რა ბრალდებები წარედგინა ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობას: შეთქმულება აგრესიული ომის მოსამზადებლად; ამ ომში ევროპის ქვეყნების ჩათრევა; სამხედრო ტყვეებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის წამება და მასობრივი განადგურება; ევროპელი სამოქალაქო პირების გერმანიაში გადაყვანა იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად; მძევალთა მასობრივი მკვლელობები; სახელმწიფო და კერძო საკუთრების ძარცვა; სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განადგურება; პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ **სამართლის ისტორიაში პირველად სწორედ ნიურნბერგის პროცესზე გამოიყენეს პრინციპი – დანაშაულებრივი ბრძანებების შემსრულებელი პირი არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან!**

ტრიბუნალის განსასჯელთა სკამზე იჯდა ჯერ კიდევ გუშინდლამდე ძლევამოსილი იმპერიის 24 უმაღლესი თანამდებობის პირი. უფრო ზუსტად, 24 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი. ხოლო მათგან ერთი, ავად ცნობილი მარტინ ბორმანი (რაიხსლაიტერი, პარტიული საქმეების რაიხსმინისტრი), გერმანიის კაპიტულაციისთანავე უკვალოდ გაქრა. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, იგი საბჭოთა აგენტი იყო და თავის გაუჩინარებას პირადად ლავრენტი ბერიას უნდა უმადლოდეს.

სასამართლომ განსასჯელთაგან 12 კაცს ჩამოხრჩობა, ხოლო დანარჩენ 12-ს სხვადასხვა ვადით (10-დან 15 წლამდე და უვადოდ) პატიმრობა მიუსაჯა.

მარტინ ბორმანის გარდა, განაჩენის აღსრულება ვერ მოხერხდა ლეის და გერინგის მიმართ – პირველმა პროცესის დაწყებისთანავე კაკანში თავი ჩამოიხრჩო, ხოლო მეორემ სასჯელის აღსრულების წინა დამეს ცეცხლსასროლი იარაღით თავის მოკვლა მოახერხა.

ვინაიდან დღევანდელ საქართველოში ტერმინი „ნიურნბერგის პროცესი“ საკმარისზე მეტად პოპულარულია, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ხდებოდა მშობლიურ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე.

ახალს და ორიგინალურს ვერაფერს ვიტყვი – ამ 315 დღის განმავლობაში გერმანიის ისტორიულ ქალაქ ნიურნბერგში (ბავარია) მიმდინარეობდა ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელების, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის, საიდუმლო პოლიციის (გესტაპო), სდ-ს (**Geheime Staatspolizei**) და სა-ს (**Sturmabteilungen**) სასამართლო პროცესი.

რაც ყველაზე საინტერესოა და რისთვისაც ეს პროცესი დღემდე ასე პოპულარულია, ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა მიიღო მსოფლიო დემოკრატიული სამყაროსთვის მანამდე უმაგალითო გადაწყვეტილება – დანაშაულებრივად ცნო და აკრძალა 1933 წლიდან ჰიტლერული გერმანიის მმართველი ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია (გერმ. Nationalsozialistische Deutsche Arbeiterpartei).

გერმანული აკრძალვების ისტორია ამით არ დამთავრებულა. ტრიბუნალის გადაწყვეტილებებიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ, მაშინდელ დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფილი ნაცისტების ინიციატივით შეიქმნა სოციალისტური პარტია. 1952 წლის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ჰიტლერულ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიზნებთან და მეთოდებთან მისი სრული თანხვედრა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არ დადასტურდა. თუმცა, ფედერალურმა სასამართლომ მაინც უყოყმანოდ გადაწყვიტა, რომ იგი იყო ნაცისტურთან თვისობრივად (შინაარსობრივად) მონათესავე პარტია და აღრე თუ გვიან თავისი წინამორბედის მიერ განვლილი გზის გამეორებას აუცილებლად ეცდებოდა.

ამიტომ დასავლეთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ უყოყმანოდ მიიღო ამ პარტიის გაუქმების (აკრძალვის) გადაწყვეტილება.

სალომე ზურაბიშვილი და ნანუაშვილი რუსი პრანკერების მახეში გაებნენ!

რუსი „პრანკერები“ გადაცემა „ანტი-ფეიკში“ გამოჩნდნენ, რომელშიც განაცხადეს, რომ ამჯერად მათი მიზანი იყო, გარკვეულიყვნენ, რა იყო საქართველოში მიმდინარე აქციებისა და არეულობის მიზეზი. ამ მიზნით კი მათ ზურაბიშვილთან და ნანუაშვილთან გასაუბრება გადაწყვიტეს. გადაცემაში ჩანაწერის ნაწყვეტები გავიდა.

სალომე ზურაბიშვილი რუსი „პრანკერების“ მახეში გაება. ზურაბიშვილი აღიარებს, რომ უცხოეთიდან ფინანსდება და ახლა ევროპიდან თანხის გაჭიანურებაზე დარდობს. ფინანსებს ითხოვს უჩა ნანუაშვილიც.

ზურაბიშვილს და ნანუაშვილს გარი კასპაროვისა და პეტრო პოროშენკოს სახელით დაუკავშირდნენ. დიალოგი კი შემდეგნაირად წარიმართა:

სალომე ზურაბიშვილი: არის სამი ძირითადი სეგმენტი, რომელიც საჭიროებს მხარდაჭერას და რომელიც შეჩერებულია, შეწყვეტილია, ან რაიმე მსგავსი. პირველი – ეს არის მასობრივი მედიასაშუალებები, მაგრამ განსაკუთრებული აქცენტით რეგიონულ მედიაზე, ეს არიან ის მედიები, რომლებსაც ყველაზე ნაკლები ფული სჭირდებათ, რადგან მცირედი თანხითაც კი ისინი ბევრს იზამენ. მეორეს რაც შეეხება – ეს არის პროფკავშირები. მესამე სეგმენტი კი, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება, ეს ყველა ის არასამთავრობო ორგანიზაციებია. ფინანსები ძირითადად მოდიოდა USAID-დან და ზოგიერთი ევროპული ფონდიდან, ევროპელები კი ძალიან აჭიანურებენ პროცესს. ისინი ამბობდნენ, რომ თანხას სამთავრობო პროგრამებიდან, რომლებიც სანქციების გამო შეჩერდა, მომართავდნენ სამოქალაქო საზოგადოებისკენ, მაგრამ ეს ამ დრომდე არ მომხდარა. ასე რომ, ახლა კრიტიკული მომენტი დადგა.

კითხვა: რა თქმა უნდა, თქვენ თუ მომაწვდით რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ძალიან კარგი, გავესაუბრებოდი. მე ჯერ კიდევ ვცდილობ მოვახერხო რუბიოსთან შეხვედრის ორგანიზება. თქვენ გაქვთ თქვენი „ენჯეო“, რომელსაც შემიძლია მივმართო?

სალომე ზურაბიშვილი: მე მაქვს კონტაქტი ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებსაც ჩემი აზრით, ყველაზე მეტად სჭირდებათ მხარდაჭერა. მე შემიძლია შევადგინო სია იმ „ენჯეოების“, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ!..

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი კლაუს შვაბე მეორედ “ამხილეს“...

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებლის, კლაუს შვაბეს წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, – ინფორმაციას ამის შესახებ **„ფაინენშალ თაიმსი“** ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, **შვაბეს წინააღმდეგ გრალდება ანონიმური მოწმის წერილის საფუძველზე დაიწყო. წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ შვაბე და მისი ოჯახი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფინანსებს და უძრავ ქონებას პირადი მიზნებისთვის იყენებდნენ.**

გამოცემის ცნობით, **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წარმომადგენლებმა აღნიშნულ გრალდებებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას მხარი დაუჭირეს.**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი **შვაბეს წინააღმდეგ გაჟღერებულ გრალდებას სერიოზულად უდგებიან, თუმცა ეს გრალდებები ჯერ დამტკიცებული არ არის და ისინი დაელოდებიან შიდა გამოძიების შედეგს. თავად კლაუს შვაბემ გრალდება კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ანონიმური წერილის ავტორთა წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.**

კლაუს შვაბემ 21 აპრილს საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი.

ცნობისთვის: ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კლაუს შვაბეს წინააღმდეგ გრალდებები გაისმა. 2024 წელს შვაბეს ადანაშაულებდნენ სამსახურში ტოქსიკური კულტურის დამკვიდრებაში. კერძოდ, საუბარი იყო სექსუალური შევიწროებისა და შავკანიანი და ქალი თანამშრომლების დისკრიმინაციის შემთხვევებზე, რომლებიც სათანადოდ არ იყო გამოძიებული. თუმცა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ მსგავსი ფაქტების მტკიცებულებები ვერ მოიპოვა.



არ არის გამორიცხული, რომ ქართული „ნიურნბერგი“ ოდესმე ქვეყნის ტოტალიტარული მმართველობის პროვოკაციად იქცეს. მეტიც, საფლავიდან აღორძინების ცრუ იმედი გაუჩინოს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში გარდაცვლილ ნაცმოძრაობას.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ეს ხდება 1952 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული კოალიცია გერმანიას მკაცრად აკონტროლებს და მისგან რაიმე „თვითნებობის“ გამოვლენა ისედაც გამორიცხულია, ანუ ახალი ნაცისტური პარტიის ძველებურად აღზევება, უბრალოდ, შეუძლებელია. და მაინც, წინდახედული გერმანია მიმართავს პრევენციას – აუქმებს ნაცისტურის მონათესავე პარტიას.

თანამედროვეობაში პოლიტიკური პარტიების აკრძალვის (რეგისტრაციის გაუქმების) შესახებ მნიშვნელოვანი განმარტებები მოცემულია, როგორც ვენეციის კომისიის, ODHIR-ისა და ევროპის საბჭოს დოკუმენტებში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.

ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2002 წლის რეზოლუცია „ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიების შეზღუდვის შესახებ“. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს **მხოლოდ დამაჯერებელი და მყარი საფუძვლების არსებობით: ეროვნული უშიშროება; საზოგადოებრივი უსაფრთხოება; არეულობისა თუ დანაშაულის პრევენცია; მოქალაქეთა უფლებისა და თავისუფლებების დაცვა.**

ამავე დროს, რეზოლუციაში წარმოდგენილია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებისკენაც ასამბლეა წევრ სახელმწიფოთა ხელისუფლებებს მოუწოდებს: პარტიის საქმიანობის შეზღუდვა ან მისი აკრძალვა აღქმულ უნდა იქნას, როგორც საგამონაკლისო ღონისძიება და გულისხმობდეს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა პარტია იყენებს ძალადობას ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მშვიდობასა და დემოკრატიულ წყობას; პარტიას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მისი წევრების მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის, თუ ეს ქმედებები ეწინააღმდეგება პარტიის წესდებასა და მის საქმიანობას; პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება იყოს სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით უზრუნველყოფილი უკიდურესი ღონისძიება...

ამავე დროს, პოლიტიკური პარტიის გაუქმება დაუშვებელია მსუბუქი ადმინისტრაციული გადაცდომისთვის, ან მხოლოდ იმის გამო, რომ მისი იდეები მიუღებელი, არაპოპულარული ან შეურაცხმყოფელია. თუ პარტია არც ძალადობრივ საშუალებებს იყენებს და არც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მშვიდობასა და ქვეყნის დემოკრატიულ კონსტიტუციურ წყობილებას, მისი აკრძალვა გამართლებული არ იქნება. მაგალითად, თურქეთის კომუნისტური პარტიის საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას საფუძვლად დაედო პარტიის სახელში სიტყვა „კომუნისტურის“ არსებობა, რაც ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია. თურქულმა სასამართლომ ასევე ვერ შეძლო აეკრძალა თავის ტერიტორიაზე დაფუძნებული და მოქმედი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქურთული პარტიები. ეს ნიშნავს, რომ აკრძალვის ან გაუქმების საკმარის საფუძვლად ვერ ჩაითვლება თუნდაც ის ფაქტი, რომ პარტია კონსტიტუციური წყობის მშვიდობიანი გზით ცვლილების პროპაგანდას ეწევა.

მოკლედ, პარტიის გაუქმების კანონიერების შემოწმების პროცესში ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონკრეტული პარტიისგან მომდინარე რეალური საფრთხის შეფასებას.

იმის თქმა მინდოდა, რომ პოლიტიკური პარტიების აკრძალვა-გაუქმების სისტემა მოწესრიგებულია საერთაშორისო კანონმდებლობით. ანუ, თუ საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, ნაცისტური იქით იყოს და, რომელიმე მშოგლიური მიშისტური პარტიის აკრძალვას გადაწყვეტს, მის განზრახვას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. მთავარია, მისი ეს განზრახვა სამართლებრივად უნაკლოდ დასაბუთებული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული (საერთაშორისო) სასამართლო ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გააუქმებს.

ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება უახლოეს მომავალში, დღისათვის კი მისი განზრახვა ცხადზე უცხადესია – „ქართული ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების გასამართლება და აკრძალვა. ამ განზრახვის მკაფიო დასტურია ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნებისა და ხელისუფლების მომხრეთა განცხადებები; პარლამენტის მიერ სასწრაფოდ მიღებული კანონები; რადიკალური ოპოზიციური სპექტრის აუხსნელი ქმედებები; მიშისტური ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნა და მის ხელმძღვანელად თავისი უკომპრომისობით ცნობილი (არაფერს ვამბობ ამ ქალბატონის უდავო ნიჭიერებაზე) თეა წულუკიანის დანიშვნა.

მე, იმ ეპოქის უამრავი სიბინძურის ჩემი თვალით მნახველი და საკუთარ ზურგზე გადამტანი საქართველოს მოქალაქე სააკაშვილის დანაშაულებრივი პარტია-სახელმწიფოს ქომაგად ნამდვილად ვერ გამოვდგები. თუმცა, მოდი, შექმნილი არაორდინარული ვითარების ცივი გონებით შეფასება ვცადოთ.

ეუთო-ოდირისა და ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პარტიის გაუქმება ან აკრძალვა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ ყველა სხვა ნაკლებად მზღუდავი საშუალება არ არის საკმარისი. აკრძალვის ან იძულებითი გაუქმების მექანიზმის გამოყენება შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ისეთი პოლიტიკური პარტიის მიმართ, რომელიც მხარს უჭერს ძალადობას ან დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების დამხობის გზად ძალადობის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალების გამოყენებას. თუნდაც ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის ცვლილების პროპაგანდას ეწევა, პარტიის აკრძალვის ან გაუქმების საკმარის საფუძვლად ვერ გამოდგება.

იმის თქმა მინდა, რომ ქართულ სასამართლოს დღევანდელი მაფურთხებელ- მოყვირალ-მოყაყანე ეგრეთ წოდებული ოპოზიციის აკრძალვა-გაუქმებისთვის საკმარისი მტკიცებულებების მოძიება გაუჭირდება. ფორმალურად რომ მოიძიოს კიდეც, ევროპული სასამართლოს მიერ „მეგობარი“ ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების მაფურთხებელთა სასარგებლოდ შეცვლის ალბათობა საკმაოდ მაღალია, ყოველ შემთხვევაში – დღევანდელი მონაცემებით.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ჩემი აზრით, ევროპელი „მეგობრების“ სავარაუდო მხარდაჭერის გამო, გაჭირდება ქართული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება საპაკაშვილის ნაცისტური პარტიისადმი. დარწმუნებული ვარ, ეს მხარდაჭერა არ შეეხება არც პირადად საპაკაშვილს და არც მის მაშინდელ თანამოაზრეებს ბარამიძე-ბოკერიას ჩათვლით.

გამიხარდება, თუ ვცდები, მაგრამ დიდი მოკრძალებით, კიდევ ერთი ვარაუდის გამოთქმას გავბედავ – არ არის გამორიცხული, რომ ქართული „ნიურნბერგი“ ოდესმე ქვეყნის ტოტალიტარული მმართველობის პროვოკაციად იქცეს. მეტიც, საფლავიდან აღორძინების ცრუ იმედი გაუჩინოს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში გარდაცვლილ ნაცმოძრაობას.

დარწმუნებული ვარ, ამაზე ხელისუფლებასაც უფიქრია: საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით დოკუმენტურ-პუბლიცისტური ნაშრომის შექმნა, რომელიც ითარგმნება უცხო ენებზე და განსასჯელად ჩვენს უცხოელ მტერმოყვარეს მიეწოდება. ამავე დროს, საფუძვლად დაედება 2003-2012 წლების შავგნელ პერიოდზე გადადებული მხატვრულ-დოკუმენტური სერიალის სცენარს.



რაღა დაგიმალოთ და, ასეთი ნაშრომის შექმნაში დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას.

თეიმურაზ ქორიძე,
24. 04. 2025

ფრთხილად, სტრატეგიული რეგიონია!

შპს „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“, რომელიც ჭიათურაში მიწისქვეშა და ღია პარიერული წესით მანგანუმს მოიპოვებს, მომპოვებელი პროცესის ძირითადი ნაწილი 2024 წლის 1 ნოემბრიდან შეაჩერა. თანამშრომლებმა მიიღეს დაპირება, რომ 2025 წლის 1 მარტამდე ხელფასის 60% დაერიცხებოდათ, თუმცა, მაღაროელებს იანვრისა და თებერვლის ხელფასი ამ დრომდე არ აუღიათ.

პროცესს წინ უძღოდა სამთო სამუშაოების გამო დაზარალებული მოსახლეობის მხრიდან მაღაროების პარალიზება, რომლებიც კომპანიას მიყენებული ზარალის შესაგამის კომპენსაციას სთხოვდნენ.

ცოტა ხნის წინ, „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“, „ჯორჯიან მანგანეზთან“ შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიწისქვეშა მოპოვების სამუშაოებს აღარ განაახლებს. აღნიშნულის გამო, თვეების განმავლობაში, სამთოელთა პროტესტი არ წყდება. ისინი მოითხოვენ, რომ „ჯორჯიან მანგანეზმა“ დატოვოს ჭიათურა და პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ გადაიბაროს!!!

გვესაუბრება საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალისტი, „საქნახშირის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების სრული პროფესორი, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და ახალი ტექნოლოგიების კვლევის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გელა მაჩაიძე:

გელა მაჩაიძე: მალე სამთო სამუშაოების ჩავარდნის შედეგად მიღებული ზარალი ოკუპირებული ტერიტორიებისგან მიღებულ მატერიალურ ზარალს გადააჭარბებს!

– ბატონო გელა, რა არის იმ ყველაფრის რეალური მიზეზი, რაც უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება და ბოლო არ უჩანს?

– რეალური მიზეზი, შეიძლება ითქვას, რომ არის ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, რომელიც წარმოიშვა ჭიათურის მოსახლეობას, ჭიათურის საბადოს ხელმძღვანელობასა და მართვის სისტემას შორის. სამთოელთა დაბალი ხელფასების პრობლემა შეიძლებოდა, მოგვარებულიყო, მაგრამ სამთო სამუშაოების შედეგად დაზარალებული მოსახლეობა გამოვიდა „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანის“ წინააღმდეგ და განაცხადა, რომ კომპანია მათ ზარალის ადეკვატურ კომპენსაციას არ უხდის. ეს იმ დონეზე მივიდა, რომ მომიტინგე დაზარალებულებმა თავად ჩაკეტეს მაღაროები, აღარ უშვებდნენ ხალხს სამუშაოდ და იყო უკმაყოფილება თვითონ მოსახლეობას შორისაც კი. პრობლემის გადასაწყვეტად გამოცხადდა 3-თვიანი მორატორიუმი. ამ დროის განმავლობაში ხელმძღვანელობას ყველაფერი უნდა მოეგვარებინა, უმუშევრად დარჩენილ მაღაროელებს კი, ხელფასის 60 პროცენტის დარიცხვას დაჰპირდნენ. თუმცა, როგორც მათ განმარტეს, ხელფასებს მოძიებული სესხით იხდიდნენ, რამაც კომპანია კოლოსალურ ზარალამდე მიიყვანა, სამთოელები კი სამი თვის განმავლობაში, დაპირებული 60 პროცენტის გარეშე დატოვა.

– ამჯერად „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანიმ“ „ჯორჯიან მანგანეზთან“ შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჭიათურაში მიწისქვეშა სამუშაოებს აღარ განაახლებენ. კომპანიის დირექტორმა მაქსიმ მაზურენკომ განმარტა, რომ გადაწყვეტილება აუდიტორის, DMT-ის მიერ მომზადებული დასკვნის შედეგების გაცნობის შემდეგ მიიღეს, რაც ოფიციალურად ადასტურებს, რომ ჭიათურაში მადნის მიწისქვეშა მოპოვება ფინანსურად წამგებიანია...

– დიახ, გერმანულმა კომპანია DMT-მ დადო ეს წამგებიანობის ანგარიში. ზოგადად, სამუშაოები მიმდინარეობს ორი – მიწისქვეშა და ღია წესით. მიწისქვეშა წესით მადანს მოიპოვებენ მაღაროებში, ღია წესით კი – ღია კარიერებზე. ჭიათურაში, დიდი ხანია, მადნის მიწისქვეშა წესით მოპოვება, ძირითადად, მეორად ველებში მიმდინარეობს. მეორადი ველი ნიშნავს, რომ ათეული წლების წინ იქ უკვე იმუშავეს და გამოიღეს მადანი, ახლა კი, რაც დარჩა, იმის გამოსაღებად შედიან. ჯერ კიდევ იმდენი მარაგია ჭიათურაში, რომ ახალი მაღაროს აშენებაც შეიძლება, თუმცა, ბუნებრივია, მეორედ ველზე უფრო რთულია მადნის მოპოვება, ვიდრე ხელუხლებელ ველებში. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ კომპანიას არ აქვს მოპოვების ტექნოლოგიის არავითარი პროექტი. შედეგად, სასარგებლო წიაღისეულთან ერთად, მოდის დიდი რაოდენობის ფუჭი ქანი. ამიტომ ძვირი ჯდება პროცესების მართვა. პროექტი მაგათ არა აქვთ და სპეციალისტის აზრს ეგენი არ ითვალისწინებენ! სპეციალისტი რომ ჩაერიოს, ნახოს და შეისწავლოს მდგომარეობა, დარწმუნებული ვარ, არავითარი დაუძლეველი პრობლემა იქ არ იქნება!

მე ანგარიშს არ ვიცნობ. რომ ვიცოდე, რის მიხედვით შეფასდა, რომ მიწისქვეშა მოპოვება წამგებიანია, ვიტყოდი, რომ ეს სიმართლეა. როგორც სპეციალისტს, სამეცნიერო ნაშრომები მაქვს დამუშავებული, ჯერ კიდევ სოციალიზმის ხანაში, თუ როგორ უნდა იმუშავო მეორად ველებში, რომ ხელსაყრელი იყოს იქიდან სასარგებლო წიაღისეულის გამოტანა. ესენი კი ისე შედიოდნენ მაღაროში, რომ დარჩენილი მარაგის ოდენობაც არ იცოდნენ, რაც ხშირად უმართავ პროცესებს წარმოშობდა.

რა თქმა უნდა, ღია კარიერული წესით მუშაობა უფრო იაფია, უფრო მასშტაბური, მაგრამ ამ წესით მოპოვებასაც აქვს პრობლემები. ამისათვის საჭიროა დამუშავების პროექტი და მოპოვების ტექნოლოგიური პროექტი, რასაც უნდა მიჰყვეს აუცილებლად რეკულტივაციის პროექტი. თითქოს დაიწყეს გარკვეული ტერიტორიების მოსწორება, რეკულტივაციის ჩატარება, მაგრამ მიანგეს თავი. ახლა ისეთნაირად მიმდინარეობს სამუშაოები, რომ იქ რეკულტივაციას ვერ ჩაატარებ.

მიწისქვეშა წესით სამუშაოებში იყო ჩართული სამთოელთა უმეტესობა, ახლა კი შტატები შემცირდება და ბევრი ადამიანი დარჩება უმუშევარი.

– სამთოელები მოითხოვენ, რომ „ჯორჯიან მანგანეზმა“ დატოვოს ჭიათურა და მისი პასუხისმგებლობა მთავრობამ გადაიბაროს. რამდენად რეალურია მათი მოთხოვნა?

– მთავრობამ რომ გადაიბაროს პასუხისმგებლობა, სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა დანიშნოს დირექტორი, აღმასრულებელი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელმაც პროცესი უნდა მართოს, მაგრამ ხომ ვიცი, საქართველოში, სპეციალისტების მხრივ რა მდგომარეობაა! რადგან კომპანია პროცესებს ვერ მართავს, თავისუფლად შეიძლება, მას ხელშეკრულება შეუწყვიტონ, ისევე, როგორც ტყიბულის „საქნახშირს“ გაუკეთეს, როცა „ჯიაიჯი“ ჯგუფი გაუშვეს და ახალი შემოიყვანეს, მაგრამ ცივილიზებულად უნდა გაკეთდეს ყველაფერი.

სამთო საქმე, ძირითადად, „სამ სპილოზე“ იყო დაყრდნობილი საქართველოში. ეს იყო ჭიათურა, ტყიბული და კაზრეთი. დანარჩენი პატარ-პატარა საგადოები ამინდს ვერ ქმნიან. ჭიათურას ერთ-ერთი უმდიდრესი მანგანუმის საგადო აქვს, მთელი თავისი კომპლექსით, რომელიც საგოლოო პროდუქტს თვითონ ქმნის, სილიკო-მანგანუმის სახით. მარგანეცსაც თვითონ მოიპოვებს, ამდიდრებს კიდევაც, აწვდის ზესტაფონის მეტალურგიულ ქარხანას და უშვებს საგოლოო პროდუქტს. როცა ასეთ შემთხვევაშიც წაგებაზე მუშაობ, ე.ი, ეს შენი უუნაროებით მოგდის!

შტატების შემადგენლობას რომ გადავხედე, იქ ძალიან გაგიჭირდება, მოგებაზე იმუშავო. საწარმო დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა შპს-ედ. შესაბამისად, ჰყავთ უამრავი დირექტორი, უამრავი მოადგილე, რამდენიმე მმართველი, რამდენიმე ხელმძღვანელი... „გამდიდრებლებს“ ცალკე დირექტორები ჰყავთ, „ტრანსპორტს“ – ცალკე, „ღიას“ – ცალკე, „მიწისქვეშასას“ – ცალკე... და თითოეული მათგანი, უკაცრავად და, „თავისას უბერავს“, თავის ნებაზე მუშაობს! გარდა ამისა, ბევრი ისეთი ადამიანია შტატში, რომლებიც რამდენიმე ადგილზე არიან გაფორმებული.... 3600 კაცზე მეტია დასაქმებული. რად უნდა ამ ერთ გაჭირვებულ „ჭიათურმანგანუმს“ ამდენი კადრი?!

სამაგიეროდ, არ ჰყავთ დამუშავების ტექნოლოგიის არც ერთი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს. ეს კი არის საფუძველთა საფუძველი სამთო საქმეში. დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალობაზე დაყრდნობით შენდება სამთო საქმე: მაღარო, შახტა თუ კარიერი. განხილვის პროცესში ხომ უნდა გამოჩნდეს ადამიანი, ვინც შეგეკამათება ტექნოლოგიაზე, მოპოვებაზე, სამთო საქმეზე... ხელმძღვანელთა შორის ასეთი ადამიანი არ არის! კაზრეთშიც აღარ არის დამუშავების ტექნოლოგიის სპეციალისტი. ტყიბულში არის შემორჩენილი რამდენიმე 65-70 წელს გადაცილებული ადამიანი.

როცა ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20-პროცენტია ოკუპირებული, ისიც გავითვალისწინოთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე სამთო სამუშაოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მიღებული ზარალი ოკუპირებული ტერიტორიებისგან მიღებულ მატერიალურ ზარალს გადააჭარბებს! ამიტომაც აუცილებლად სჭირდება სამთო საქმეს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო!

მაგალითად, როცა ტყიბულის „საქნახშირის“ მმართველი **მიხაილ სოცკი** ჩავიდა ჭიათურაში, მაშინვე რომ შეექმნათ ერთიანი მართვის სისტემა, რომელსაც ერთიანად დაექვემდებარებოდა ჭიათურის ღია მოპოვება, მიწისქვეშა მოპოვება, მისი გამდიდრების პროცესი და მეტალურგიული პროცესი, – ამ სისტემაში მოექცეოდა ყველაფერი და მსგავსი პრობლემა აღარ შეიქმნებოდა.

– ბატონო გელა, უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ტყიბულის „საქნახშირისა“ და ჭიათურის მაღაროს ხელმძღვანელობა გაერთიანდება და დირექტორად დაინიშნება მიხაილ სოცკი. თუმცა, სამთოელთა ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს ამ გაერთიანებას...

– ყველა უნდა დაექვემდებაროს ერთ მართვით სისტემას, უნდა ჰყავდეს ერთი ხელმძღვანელი და უნდა იმართოს ერთიანი სის-

ტემით. უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის, გაარკვევს და დაადგენს ყველაფერს. სხვაგვარად არაფერი გამოვა.

„საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა მიხაილ სოცკიმ, ასე თუ ისე, დაარეგულირა „საქნახშირში“ სიტუაცია. მანვე სთხოვა გერმანულ კომპანია DMT GmbH & Co-ს, რომ დასკვნა გადმოეცათ ჩვენთვის, მაგრამ არ გადმოგვცეს. თორემ წავიკითხავდით და ვნახავდით, რა წერია ამ დასკვნაში და რის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ ჭიათურაში მადნის მიწისქვეშა მოპოვებას აზრი არა აქვს!

თუმცა, ტყიბულში ახლა გადაიარაღებაზე მიდის ლაპარაკი, რასაც კარგი პირი არ უჩანს და ამაზეც მინდოდა ყურადღების გამახვილება, – იქ აუცილებლად უნდა დაიწყოს ჰესის მშენებლობა და შახტის გადაიარაღება, იმიტომ, რომ ტყიბულის ქვანახშირს აღარ ჰყავს მომხმარებელი და აღარც განვითარების პერსპექტივა აქვს, თუკი იქ თბოელექტროსადგური არ აშენდა.

სწორედ თბოელექტოსადგურის მშენებლობაზე მივიღეთ ახლახანს თანხმობა ჩინური კომპანიის მხრიდან და მაისის შუა რიცხვებიდან უკვე დახლიჭაურის მშენებლობა საზეიმოდ გაიხსნება. ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა კლასტერული პოლიტიკის განხორციელების დოქტრინა იმერეთის რეგიონში, ტყიბულის ქვანახშირის სამადოს ბაზაზე, რაზეც დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია და რომელმაც ძალიან დიდი მოწონება პოვა ეკონომიკის სპეციალისტებს შორის.

მიხაილ სოცკი მოდის თავისი პერსპექტიული განვითარების გეგმებით. ჩავა ჭიათურაში და მიგვიწვევს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებიც ჩავუტარებთ გასაუბრებას სამთოელებს, მხოლოდ და მხოლოდ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. შესაბამისად, თუკი ვინმეს სჭირდება ცოდნის გაღრმავება, ან აქვს ნაკლები ცოდნა იმ სფეროში, სადაც მუშაობს, მათ კი არავინ გაათავისუფლებს, არამედ, ჩავუტარებთ ტრენინგებს სრულიად უფასოდ, ისევ თავიანთი უსაფრთხოების მიზნით.

– როგორც სპეციალისტი, რას ურჩევდით მათ, რისი გაკეთებაა საჭირო იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს?

– უპირველესად, უნდა შეიქმნას კომისია და უნდა შეისწავლონ, რის საფუძველზე დადო დასკვნა გერმანულმა კომპანია DMT GmbH & C-მ. მართლა, ტყეილად ხომ არ იმუშავებს ინვესტორი?! ამაში უნდა ჩავერთოთ ჩვენ, ქართველი სპეციალისტები. ჩვენზე უკეთ არც გერმანელმა იცის, არც ფრანგმა და არც სომეხმა, რა მდგომარეობაა სინამდვილეში. DMT GmbH & C არის გერმანული სამთო კომპანია, რომელიც ქართველებს უკეთებს საექსპერტო დასკვნებს. მე, მაგალითად, სამჯერ გამიკეთა ასეთი დასკვნა ამ კომპანიამ ტყიბულში და არც ერთი არ ვარგოდა! ახლა კი, საინტერესოა, რა მოსაზრებით დაასკვნეს მათ, რომ მარაგების მიწისქვეშა მოპოვება ფინანსურად წამგებიანია! ასეთი დასკვნა რომ გამოგაქვს, ასეთ მოკლე დროში, ჯერ ნორმალური სტრუქტურაა ჩამოსაყალიბებელი, მერე მარაგებია შესასწავლი, სად, რომელ მაღაროს რა მარაგი აქვს. დეტალურად უნდა შეისწავლო სამთოგეოლოგიური პირობები და ამას 3-4 თვე მაინც სჭირდება. ასევე, გადასახედია კადრების საკითხი.

მე, როგორც სპეციალისტი და როგორც სამთოელი, ამათ ნახევარს „გავფილტრავდი“... არავითარი საპროექტო სამუშაოები იქ არ არის ჩატარებული, პროექტი არ არსებობს, რომლითაც შეიძლება ნორმალურად იმუშავო. გადათხრილი და გაუბედურებულია მთელი საგადო! მეორად ველებს რომ თავი დავანებოთ, ღია წესით სადაც მუშაობენ, იქაც არ არის საექსპერტო დასკვნები გაკეთებული, არავითარი პარიერის ფორმა მას არ გააჩნია. ვერავითარ რეკულტივაციას იქ ვერ ჩაატარებ!

არამხოლოდ ჭიათურაში, ზოგადად, სამთო საქმეში რაც ხდება და როგორც დღეს მუშაობენ, მიწისქვეშა მოპოვების წესით თუ ღია წესით, – ეს არის დანაშაული! ჯერ ხომ მარაგი ნადგურდება, როგორც მარაგი! მილიონი წელი უნდა სასარგებლო წიაღისეულის წარმოქმნას! რელიეფი ცალკე ნადგურდება... შემოდის ინვესტორი (ჩვენი დროის „კოლონიზატორები“), რომელსაც 40-50 წლით გადასცეს ქვეყნის სიმდიდრე და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოთხაროს და იაფად წაიღოს, გზად კი ყველაფერს ანადგურებს!

როცა ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტია ოკუპირებული, ისიც გავითვალისწინოთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე სამთო სამუშაოების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მიღებული ზარალი ოკუპირებული ტერიტორიებისგან მიღებულ მატერიალურ ზარალს გადააჭარბებს! ამიტომაც აუცილებლად სჭირდება სამთო საქმეს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო!

– ბატონო გელა, ხელისუფლების როლი სად არის ამ შემთხვევაში? სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის რა მექანიზმი არსებობს?

– არავითარი მაკონტროლებელი ორგანო სამთო საქმეს, სახელმწიფოს მხრიდან, არ გააჩნია! არის წიაღის მართვის დეპარტამენტი, არის ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია, ბუნების დაცვის კომიტეტი, მაგრამ არა ჰყავთ სპეციალისტები, მადნის დამუშავების ტექნოლოგები... გადაწყვეტილებას ღებულობენ იურისტები, ეკონომისტები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რაც ყოვლად დაუშვებელია!

არ არსებობს მენდელეევის პერიოდულ სისტემაში მინერალი, რომელიც საქართველოში არ არის, აბსოლუტურად ყველაფერი გვაქვს! საქართველო პატარაა და არც ეს საბადოებია გიგანტური, მაგრამ იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია ეს პატარა ქვეყანა, რომ ამის საფუძველზე, ძალიან დიდი აღმავლობა და ეკონომიკური სარგებელი უნდა გვქონდეს და არც დასაქმების პრობლემა უნდა იყოს ქვეყანაში. ქვანახშირის ისეთი საბადო გვაქვს, სადაც მარაგების რაოდენობა 500-დან 800 მილიონ ტონამდეა. ამიერკავკასიაში ქვანახშირის ასეთი მარაგი არავის აქვს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თვალსაზრისით.

ტყიბულის საბადოში არის უნიკალური ფენები, – ე. წ. ლიპტობიოლიტური ქვანახშირის. ეს არის ქიმიური მრეწველობის ისეთი ნედლეული, რომლისგანაც მზადდება არაჩვეულებრივი საღებავები, გემის საღებავი, – რომ შეღებავ გემს, მარილიც ვერ მიეკარება. მისგან მზადდება არაჩვეულებრივი იზოლატორები, რასაც იყენებენ რუსეთში, სადაც ყინვები – 50 გრადუსზე მეტია. ლიპტობიოლიტური ნახშირებისგან გამოხდილ ზეთს თუ იპოქსიტში შეურევ, შექმნი ისეთ იზოლირებულ გარემოს, რომელიც აბსოლუტურად შეუღწევადი ხდება ყოველგვარი ტალღისაგან. ეს არის სტრატეგიული ზეთი, რომელიც გრამებით იყიდება და ძალიან ძვირი ღირს. მსოფლიო განიცდის ასეთი ზეთის დეფიციტს. მაგალითად, სუმგაითში პირდაპირი მოთხოვნაა ამ ზეთზე. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ ვერც ერთმა ბიზნესმენმა ვერ მოაბა თავი მის წარმოებასა და ექსპორტზე გატანას. მართალია, მისი განცალკევებული მოპოვება ცოტა რთულია, მაგრამ ასეთი სიმდიდრე გაგვაჩნია და უნდა გამოვიყენოთ!

– კარგია, თუკი ხელისუფლება გაეცნობა და გაითვალისწინებს იმ ყველაფერს, რაზეც ვისაუბრეთ და მასაც, – რაზეც ვერ ვისაუბრეთ, რადგან გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას... აქვე მინდა, მათ სამთოელების თხოვნა გადავცე: მავნე და სიცოცხლისთვის სახიფათო სამუშაო გარემოს გამო, სამთოელთა (განსაკუთრებით გვირაბგამყვანთა) უმეტესობა საპენსიო ასაკამდე ჯანმრთელობას ვერ ინარჩუნებს. იქნებ საკანონმდებლო დონეზე მოვითხოვოთ, რომ ამ ადამიანების საპენსიო ასაკი 60 წლამდე შემცირდეს?

– ამაზე კარგა ხანია, ვსაუბრობთ, მაგრამ ჯერ ვერაფერი შევცვალეთ. თუმცა, ჭიათურის პირობები „პროსპექტია“ ტყიბულის პირობებთან შედარებით, რადგან იქ არც გაზია საშიში, აფეთქების მხრივ, არც სამთო დარტყმა, არც ენდოგენური ხანძარი... თუმცა, ჭიათურაში არის ფუჭი ქანების და ბურღვაფეთქებითი სამუშაოების მტვერი, რაც იწვევს სილიკოზის დაავადებას და სიმსივნეს... ეს ადამიანები ცხოვრების უდიდეს ნაწილს მიწის ქვეშ ატარებენ და რასაკვირველია, მათ განსაკუთრებული ხელშეწყობა უნდა, განსაკუთრებული მოფერება სჭირდება. განა რამდენი სამთოელი გვყავს, რომ ქვეყნის ბიუჯეტმა ვერ გაუძღოს მათი საპენსიო ასაკის 5 წლით შემცირებას!

...საბედნიეროდ, კიდევ შემოვრჩით ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანდაზმული ლექტორები, რომლებსაც შეგვიძლია, მთელი ჩვენი ცოდნა გადავცეთ მომავალ თაობებს, თუმცა, მე უკვე 70 წელს გადავაბიჯე, გვყავს 80 წლის პროფესორებიც, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია, მომავალი სპეციალისტი აღზარდოს, მაგრამ ჩვენ რომ წავალთ, ვინ უნდა შეგვცვალოს?! მომავალი თაობა არ ჩანს, ვინც ამ საქმეს ასწავლის და გაუძღვება! ახლავე უნდა დავიწყოთ ზრუნვა ამაზე!

ესაუბრა

ნონა ქარქაშაძე

ეშმაკი დეტალებში იმალება!

ბრიტანულმა სამაუწყებლო კომპანია **„ბიბისიმ“ (BBC)** გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„ყირიმი, სანქციების გაუქმება და ფრონტის ხაზის „გაყინვა“: როგორია აშშ-ის გეგმა და რა მოჰყვება მის სავარაუდო რეალიზებას“.** პუბლიკაციაში გაანალიზებულია სიტუაცია რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტის მცდელობების ფონზე, მოცემულია „ამერიკული გეგმის“ შინაარსი და განხილულია მხარეთა პოზიციები.

გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:

ლონდონში შეხვედრამ, რუსეთ-უკრაინის ომის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მარკო რუბიოს გარეშე ჩაიარა. როგორც კი მასმედიაში მთავარი ამერიკელი დიპლომატის უარი გავრცელდა, სამიტის მესვეურებმა შეხვედრის სტატუსი დააქვეითეს და მოლაპარაკება ძირითადად ელჩების და წარმომადგენლების დონეზე გაიმართა.

ექსპერტების და დამკვირვებლების აზრით, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის უარი გამოიწვია უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებამ გაზეთ The Wall Street Joumal-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომ იგი „ყირიმის რუსეთისადმი კუთვნილებად აღიარების საკითხს არ განიხილავს“.

აშშ-ის სამშვიდობო გეგმის დებულებები

დასავლურ პრესაში, კერძოდ, ბრიტანულ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომლის თანახმად, აშშ-მა უკრაინას 7-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა შესთავაზა. მისი ძირითადი დებულებები ასეთნაირად გამოიყურება:

პირველი – დაუყონებლივი დაზავება;

მეორე – პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება რუსეთსა და უკრაინას შორის;

მესამე – უკრაინის უარი ნატოში გაწევრიანებაზე, მაგრამ მას ექნება შესაძლებლობა, გაერთიანდეს ევროკავშირში;

მეოთხე და **მეხუთე** – ეს პუნქტები ეხება საზღვრო-ტერიტორიულ საკითხებს: აშშ იურიდიულად აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, მხარეები ფრონტის ხაზს „გაყინავენ“. დოკუმენტში ნათქვამი არ არის, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიები ფორმალურად რუსეთის კუთვნილად გამოცხადდება, მაგრამ, „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, აშშ აღიარებს იმ ფაქტს, რომ ისინი რუსეთის მთავრობის მიერ იქნებიან გაკონტროლებული. უკრაინის ტერიტორიის ნაწილი (ხერსონის ოლქში – დნეპრის შესართავი) კიევს დაუბრუნდება, ხოლო ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს – ევროპაში უდიდეს აეს-ს – აშშ გააკონტროლებს.

მეექვსე – უკრაინა ხელს აწერს აშშ-სთან შეთანხმებას სასარგებლო წიაღისეულის ერთობლივად მოპოვების თაობაზე;

მეშვიდე – აშშ-ს და რუსეთს შესაძლებლობა ექნებათ აღადგინონ ეკონომიკური კავშირები. აშშ მთლიანად აუქმებს (ხსნის) ანტირუსულ სანქციებს. იწყება ფართო თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში.

„დეილი ტელეგრაფის“ მონაცემებით, აშშ-ის მიერ შემუშავებული გეგმა არ შეიცავს რაიმე მკაფიო გარანტიებს უკრაინის უსაფრთხოებისათვის აშშ-ის მხრიდან. ასევე დოკუმენტში არაფერი არ არის ნათქვამი აშშ-ის მონაწილეობაზე „უკრაინის დახმარების მსურველთა კოალიციაში“ – იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც მზად არიან უკრაინაში სამშვიდობო ძალების გასაგზავნად (აქვე შევნიშნავთ, რომ აშშ-ის გეგმის თაობაზე მასალები გამოაქვეყნეს რიგმა ამერიკულმა და ევროპულმა გაზეთებმაც და გამოცემებმაც).

სარგებელი კრემლისათვის: რას იტყვის ევროპა?

ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის „ბიბისის“ (BBC) კორესპონდენტი ელისაბედ ფოქსი აანალიზებს შექმნილ ვითარებას და წერს: დასავლურ პრესაში მასალების მოზღვავება აშკარად მოწმობს იმას, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოთმინებას კარგავს. თეთრ სახლში იგი რუსეთ-უკრაინის ომის სწრაფი შეწყვეტის დაპირებით მოვიდა, მაგრამ რეალობა უფრო რთული აღმოჩნდა: მოსკოვისა და კიევის დაპირისპირების „ცხელი ფაზა“, რომელიც ათი წლის წინ დაიწყო და რომელიც 2022 წლის თებერვლის ბოლოს სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა, თურმე აშშ-ის პრეზიდენტის სურვილით არ დამთავრდება. არსებობს უამრავი საკითხი, რომელთა სწრაფი გადაჭრა არ ხერხდება. მოკლედ, ომის სწრაფი შეწყვეტა შეუძლებელია, რადგან „ეშმაკი დეტალებში იმალება“.

დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის 100 დღის შესრულებამდე სულ რაღაც ერთი კვირაღა რჩება. ტრადიციულად, პრეზიდენტობის ასდღიანი ვადა მმართველობის ის პერიოდია, რომლის შედეგადაც დასკვნა კეთდება, თუ როგორ მუშაობს თეთრი სახლი. დონალდ ტრამპს ომის შეწყვეტის საკითხში ჯერჯერობით სატრაბახო არაფერი აქვს, ამიტომ დარჩენილ დროში რაღაც წარმატების დემონსტრირება აუცილებელია.

აშშ-ის საზავო ფაციფუცი კრემლს აშკარად ხელს აძლევს: **ყირიმის იურიდიულად აღიარება რუსეთის ტერიტორიად, ოფიციალური უარი უკრაინის ნატოს წევრად მიღებაზე, ანტირუსული სანქციების მოხსნა ისეთი პირობებია, რომლებიც სწორედ რუსეთის მოთხოვნებში შედის და რომლებსაც ვლადიმერ პუტინი გასული წლის ზაფხულიდან აყენებს. აშშ-ის პირობები არ უთავსდება უკრაინის „წითელ ხაზებს“, რომელთა თანახმად, კიევი კატეგორიულად უარს აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის სუვერენიტეტის აღიარების თაობაზე.**

იხ. 9 გვ.

დიდი შემოქმედი ზურაბ წერეთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2025 წლის 22 აპრილს, 91 წლის ასაკში, გარდაიცვალა ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელი (დაიბადა 1934 წლის 4 იანვარს, თბილისში).

ზურაბ წერეთელი გახლდათ დიდი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი, სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1980), თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1983), ბროკპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1997), რუსეთის ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1989); რუსეთის შემოქმედებითი აკადემიის ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი (1992); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997); მსოფლიო ელიტის აკადემიის აკადემიკოსი (1997); რუსეთის ინფორმატიკის აკადემიის ნამდვილი წევრი (1998); სან-ფერდინანდის (მადრიდი) ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1998); საქართველოს სახალხო მხატვარი (1978); საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი (1979); რუსეთის ფედერაციის სახალხო მხატვარი (1993).

ზურაბ წერეთელი გახლდათ სხვადასხვა დიდი მუზეუმების დირექტორი, მათ შორის ზურაბ წერეთლის ხელოვნების გალერეის დირექტორი; მისი მეცნიერული ინტერესების სფეროს წარმოადგენდა დაზგური და მონუმენტური ხელოვნების ყველა ჟანრი; იგი იყო ავტორი მრავალი ფერწერული ნამუშევრისა და მონუმენტური ქანდაკებებისა, რომლებიც დადგმულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საქართველო, რუსეთი, აშშ, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, თურქეთი, ურუგვაი, იტალია, ისრაელი).

მისი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „პრომეთე“ (აშშ, 1979); „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს“ (აშშ, 1979); „ადამიანი და მზე“ (თბილისი, 1981); „ბოროტსა სძლია კეთილმან“ (აშშ, 1990); მხატვრულ-არქიტექტურული კომპლექსი „საქართველოს მატიანე“ (თბილისი, 1989-2009) და სხვ.

ზურაბ წერეთელი მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახლდათ, მიღებული ჰქონდა ხალხთა მეგობრობის ორდენი, წმინდა კონსტანტინეს ორდენი, საქართველოს ღირსების ორდენი (1996); ლენინური პრემია (1976); საკავშირო სახელმწიფო პრემია (1996); საქართველოს სახელმწიფო პრემია (2004) და სხვ.

ზურაბ წერეთელმა 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. მისი ნამუშევრები ყოველთვის იწვევდა ხალხის მოწონებას და აღფრთოვანებას.

ოჯახს, სადაც ის იზრდებოდა, ხშირად სტუმრობდა ხელოვნების მოყვარული ხალხი, მათ შორის მხატვრები: დავით კაკაბაძე, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, აპოლონ ქუთათელაძე და სხვები. ბიძა – გიორგი ნიუარაძეც მხატვარი იყო, ასე რომ ამ გარემოცვას უკვალოდ არ ჩაუვლია შემდგომში ზურაბის პროფესიის არჩევისას.

სკოლაში სწავლისას ხშირად ხატავდა პატარა ზურაბი, არდადეგებზე სოფელ გუბში ჩადიოდა ბებიასთან და ხალხურ შემოქმედებას ეცნობოდა. „სოფელში ჩასვლისას ქალაქის ბორკილები მძვრებოდა და ჩიტივით თავისუფალი ვიყავი“ – იხსენებს ზურაბ წერეთელი.

შემდგომში, იგი სწავლობდა თბილისის ხელოვნების აკადემიაში, სადაც უჩა ჯაფარიძე, აპოლონ ქუთათელაძე, იოსებ შარლემანი და ვასილ შუხაევი ასწავლიდნენ. მას იზიდავდა პანო, მოზაიკა, ვიტრაჟი და ქანდაკებები. ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და სხვადასხვა გამოფენის ხშირი სტუმარი იყო. 1958 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო – „სპორტსმენის პორტრეტი“. მოგვიანებით მუშაობა დაიწყო ეთნოგრაფიისა და ისტორიის ინსტიტუტში, ხშირად მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

1989 წელს საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა და 2 წლის შემდეგ სრულუფლებიანი ელჩის სტატუსი მიიღო. 1997 წლიდან რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი იყო. ბატონი ზურაბი ნიუ-იორკის კეთილი ნების ელჩი, ესპანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიისა და საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის წევრი, საბავშვო ფონდის „სასწაულების ბაღის“ პრეზიდენტი (1988) და მოსკოვის საერთაშორისო „იუნესკოს დახმარების ფონდის“ დამფუძნებელი გახლდათ. მას ეკუთვნის პეტრე დიდისადმი მიძღვნილი 98-მეტრიანი მონუმენტი მდინარე მოსკოვის სანაპიროზე, რომელიც ერთ-ერთი მაღალი ქანდაკებაა მსოფლიოში.

1992-1995 წლებში იყო საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“).

ზურაბ წერეთელს ეკუთვნის თბილისის შემოსასვლელში მდგარი „წმინდა ნინოს მონუმენტი“ და თავისუფლების მოედანზე აღმართული „წმინდა გიორგი“, რომელიც დიდმა პატრიოტმა საკუთარ ქალაქს აჩუქა.

2001 წლის 14 მაისს მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ეზოში უნიკალური ექსპონატი გაჩნდა – „ეიფელის კოშკის კიბის ფრაგმენტი“. ამ დიდებული კონსტრუქციის საწყისი ნაწილი, რომელსაც ფასდაუდებელი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ეიფელის კოშკის ასოციაციის წევრმა ანრი მორვანმა ზურაბ წერეთელს გადასცა. თავის მხრივ, ბატონმა ზურაბმა ახალი ინდუსტრიული ეპოქის ეს უნიკალური სიმბოლო, ავანგარდული ხელოვნების მაუწყებელი და წლების მანძილზე უტილიტარული ფუნქციის მატარებელი ეიფელის კიბის ფრაგმენტი მოსკოვში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ჩაიტანა. აღსანიშნავია, რომ თბილისში გახსნილი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ასევე ზურაბ წერეთლის დაარსებულია და დღემდე მასპინძლობს საუკეთესო გამოფენებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის და საერთოდ მსოფლიო მასშტაბის ხელოვნებისთვის დიდი დანაკლისია ზურაბ წერეთლის გარდაცვალება. მისი სახელი ოქროს ასოებით სამარადჟამოდ ჩაიწერება მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ის ხომ ხელოვნების ქურუმი გახლდათ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ნუგზარ წერეთელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი ქართველი მხატვარი და მოქანდაკე

ზურაბ წერეთელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



„წერეთლის ფენომენი“ – გასრულება და გაგრძელება!

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი ხელოვანი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პლანეტარული აზროვნების შემოქმედი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი

ზურაბ წერეთელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი

ნარსულში გადავიდა დიდი ქართველი შემოქმედი, რომელმაც საკუთარი ფენომენი – „წერეთლის ფენომენი“ შექმნა. შექმნა და მთელი ნახევარი საუკუნე მაინც მსოფლიოს გრანდქვეყნების მონუმენტალური ხელოვნების გრანდები გულისყურით ადევნებდნენ თვალს მის დიდებულ შემოქმედებას.

მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანას ამშვენებს მისი მონუმენტური ქანდაკებები და დეკორატიული ნამუშევრები. მართლაც, ყველა ქვეყანას როდი ჰყავს ზურაბ წერეთლის დარი საკონტინენტთაშორისო ხელოვანი. ის მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული ადამიანი. ბატონი ზურაბი დიახაც გახლდათ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-საუკუნის პირველი მეოთხედის ფენომენალური მოვლენა. ის გახლდათ მხატვარი და გრაფიკოსი, ფერმწერი და მოქანდაკე, მონუმენტალისტი და პედაგოგი, სახელმწიფო მოღვაწე და მეცენატი. თვითმყოფადობით გამორჩეული უამრავი პროექტის ავტორი და ორგანიზატორი. მიუხედავად მონუმენტურობისა, მისი ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა გაბედული და ორიგინალური მხატვრული ჩანაფიქრით, ესთეტიკური გემოვნებით შესრულებული. ამასთან, თავის ათასობით ნამუშევარში მუდმივად დებდა ქართულ სულს, ქართულ ტრადიციას. ის მუდმივად იღვწოდა სამშობლოს სახელ-დიდების რადიუსის განვრცობისთვის.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიოში მართლა იშვიათია ისეთი წოდება, ჯილდო თუ რეგალია, რომელსაც ბატონი ზურაბ წერეთელი არ ფლობდა. იქნება ეს საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის წევრობა, სადაც როგორც წესი, უცხოელ შემოქმედებს არ ირჩევენ, მსოფლიოს N1 მოქალაქე, იუნესკოს კეთილი ნების ელჩი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯილდო „ოქროს ფრთა“ და სხვა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ შარშან, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ გრიფით გამოიცა ფერადი კრებული, რომელიც ბატონი ზურაბ წერეთლის 90-ე წლისთავს მიეძღვნა.

ცალკე საუბრის თემაა მისი სიქველე და მეცენატობა. წლების, ათწლეულების მანძილზე მის მოსკოვურ სახლში ყოველდღე იყო სუფრა გაშლილი საქართველოდან ჩასული სტუმრებისთვის. მას არასოდეს გამოურჩევია სტუმარი პოლიტიკური მრწამსისა თუ სამოქალაქო პოზიციის მიხედვით. მისი დახმარებით გამოიცა ასობით წიგნი, მათ შორისაა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხუთტომეული, გურამ რჩეულიშვილის ექვსტომეული, გურამ გეგეშიძის რომანები და სხვა.

ბატონი ზურაბის შემოქმედების საძირკველი საქართველოში გაიჯრა და შემდეგ ლამის მთელი შვიდი ათეული წლის მანძილზე მისი პლანეტარული აზროვნების ნიმუშები განიფინა ჩვენი დედამიწის წამყვან ქვეყნებში.

ქართული ხელოვნების მომავალი მემატიანე ვერასოდეს აუვლის გვერდს მის დიდებულ ქმნილებას – „საქართველოს მატიანე,“ რომელიც თბილისში ყეენის გორაზეა წამომართული. ესაა ძეგლი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს მომავალი თაობებისთვის, რადგან ისინი თავიანთი ქვეყნის ისტორიას ორკესტრულად გაუღერებულ ამ ძეგლზე წაიკითხავენ.

წავიდა დიდი შემოქმედი და დიდებული პიროვნება, მაგრამ მისი გამორჩეული შემოქმედების ნიმუშები საუკუნეები დარჩება ისტორიაში. სრული ცხრა ათეული წელი იძერწებოდა ზურაბ „წერეთლის ფენომენი,“ რომლის ამქვეყნიური ფიზიკური ყოფის პერიოდი გასრულდა. გასრულდა და იქვე დაიწყო შემოქმედებითი მარადიულობის ათვლა!

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის – „ოქროს ფრთის“ სახელით,

ეთერ ჯიშკარიანი,

„ოქროს ფრთის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

სახელოვანი მამულიშვილი

მეცნიერების განვითარებისათვის, გარდა ყველა იმ წინაპირობისა, რაც თვისებრივად ახალი ნაბიჯის გადადგმისათვის გარკვეულ საფუძველს ქმნის, მნიშვნელოვანია ისეთი პიროვნების გამოჩენა, რომელსაც ძალუძს თავისი ნიჭის, ენერგიისა და ცოდნის საშუალებით გადადგას ეს ნაბიჯი და შექმნას ჩაფიქრებული იდეის ხორცშესხმის რეალური შესაძლებლობა. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის მალხაზ ზაალიშვილი.

აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი — 105



მრავალმხრივ გამორჩეული ადამიანის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ბიოლოგიური ფიზიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებათა დამფუძნებლის, საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყველა ქართველისთვის. მან დააარსა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი და ბიომაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შექმნა თავისი სკოლა, იყო საქართველოში ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ფუძემდებელი.

ძალიან დიდია მალხაზ ზაალიშვილის წვლილი საქართველოში მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის განვითარებაში. მალხაზ ზაალიშვილის შრომები კუნთის ფიზიკურ-ქიმიური ორგანიზაციის კვლევის სფეროში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს.

იმ დროს, როდესაც ჩვენში ფეხს იდგამდა მეცნიერების ახალი დარგი – ბიოფიზიკა, მ. ზაალიშვილმა პირველმა შეადგინა ბიოლოგიური ფიზიკის ზოგადი კურსის პროგრამა. 1956 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე იგი კითხულობდა რადიობიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის კურსს. 1962 წელს ამავე უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მალხაზ ზაალიშვილმა ჩამოაყალიბა სპეციალიზაცია „ბიოფიზიკა“, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს მოლეკულურ ბიოლოგიასა და ზოგად და უჯრედის ბიოფიზიკაში.

1962 წელს დიდი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის ინიციატივით ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა საქართველოში პირველი ბიოფიზიკის ლაბორატორია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უკვე გამოცდილი მეცნიერი მალხაზ ზაალიშვილი. სწორედ ამ დროიდან უკავშირდება მის სახელს საქართველოში თანამედროვე ბიოლოგიის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა ბიოფიზიკა და მოლეკულური ბიოლოგია.

განსაკუთრებულმა მეცნიერულმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა მ. ზაალიშვილს საშუალება მისცა თავის გარშემო შემოეკრიბა კოლექტივი, რომელიც მაღალ დონეზე შეისწავლიდა ბიოფიზიკის თანამედროვე საკითხებს. დიდმა სამეცნიერო პოტენციალმა და აგრეთვე ბიოფიზიკის სექტორში დამუშავებული პრობლემების აუცილებლობამ და მნიშვნელობამ განაპირობა მისი ბიოფიზიკის სექტორად გარდაქმნა. 1986 წელს კი, ბიოფიზიკის სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის პირველ დირექტორად მალხაზ ზაალიშვილი იყო არჩეული და იგი მას 2000 წლამდე შეუცვლელად ხელმძღვანელობდა. დღეს ინსტიტუტის კვლევითი მიმართულებები ფუნქციონირებას განაგრძობს ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ფარგლებში.

1972 წელს მ. ზაალიშვილმა მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1974 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება ბიოფიზიკაში.

1979 წელს მ. ზაალიშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1990-2004 წლებში მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2004-2006 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში კვლევა წარმოებდა თანამედროვე ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: ბიოლოგიური მოძრაობის ბიოფიზიკა ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკა-ქიმია, გენომის მოლეკულური ორგანიზაცია.

1963-68 წლებში პირველად მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით დადგენილი იქნა, რომ მიტოქონდრიები არ შეიცავენ მიოზინის მსგავს ცილას და ამდენად მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილება არ ეფუძნება აქტინ-მიოზინის ურთიერთქმედებას, რაც შემდეგ დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. გაჯირჯვებული მიტოქონდრიის შეკუმშვა განპირობებულია ინოზიტოლ-ფოსპატიდით, რომელიც ააქტივებს არამიოზინურ ATP-აზას. ამით შეიცვალა აზრი იმის შესახებ, რომ მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილებას შეეძლო დიდი სამსახური გაეწია კუნთის შეკუმშვის მექანიზმის შესასწავლად.

მ. ზაალიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა მთელი რიგი ორიგინალური მეთოდები და დანადგარები, მათ შორის კონსტრუირებული იყო კალორიმეტრი, რომლის გამოყენებითაც დადგენილი იქნა მრავალი მაღალმოლეკულური, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთების (დნმ, კუნთის ცილები) ლღობის პროცესის თერმოდინამიკური პარამეტრები.

60-იანი წლებიდან მ. ზაალიშვილი იწყებს მუშაობას კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. ის ინტენსიურად იკვლევს იმ პროცესების მარეგულირებელ ფერმენტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით შეისწავლება ის ფერმენტები, რომლებიც არეგულირებენ რეპლიკაციისა და ტრანსკრიპციის პროცესებს არქიბაქტერიებსა და ეუკარიოტებში.

მ. ზაალიშვილის მიერ დადგენილი ექსპერიმენტული ფაქტები და მოვლენები შევიდა მის მონოგრაფიაში „კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“ (1971წ), რომელიც სამართლიანად ითვლება სამაგიდო წიგნად სპეციალისტებისათვის. ჟურნალ ბიოქიმიაში (Биохимия АН СССР, Т.39, №3, стр.672–673, 1974) გამოქვეყნებული რეცენზიის თანახმად მ. ზაალიშვილის მონოგრაფია „შეიძლება განხილული იქნეს ბოლო წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტურ მონოგრაფიად, რომელშიც ავტორი აყალიბებს ბიოლოგიური მოძრაობის მნიშვნელოვან პრობლემებს, ხოლო მის დასკვნით ნაწილში გამოყოფს უახლოეს მომავალში შესასწავლ საკითხებს“.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მალხაზ ზაალიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება თანამშრომლებთან ერთად დიდი მოლეკულური მასის მქონე, ე.წ. გიგანტური ცილების: ტიტინის, ნებულინის და გლუვ კუნთში აღმოჩენილი ცილის – სმიტინის შესწავლა ხდება. ჯერ კიდევ 1984 წელს მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით, რენტგენოსტრუქტურული მეთოდით დადგენილი იყო, რომ გიგანტური ცილა ტიტინი შეიცავს კოლაგენის ტიპის ფრაგმენტს. ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ ტიტინის მოლეკულის ორი მესამედი წარმოადგენილია სტრუქტურის, ხოლო ერთი მესამედი – მარცხენა სპირალის სახით.

პირველად მ. ზაალიშვილისა და თანამშრომლების მიერ ნაჩვენები იქნა, რომ გიგანტური ცილა სმიტინი შედის არაკუნთოვანი უჯრედების შემადგენლობაში (ტვინი, ღვიძლი). მ. ზაალიშვილი არის 14 გამოგონების და 250 მეცნიერული შრომის ავტორი. მის მიერ შექმნილია მთელი რიგი ორიგინალური მეთოდები და დანადგარები. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 10 სადოქტორო და 45 საკანდიდატო დისერტაცია.

მ. ზაალიშვილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბიოტექნოლოგიისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის პრობლემების საუწყებათაშორისო სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს „ბიოლოგიური სისტემების ფუნქციონირების ფიზიკური პრინციპები“-ს ბიოლოგიური მოძრაობის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ და „მეცნიერება და ტექნიკის“ რედკოლეგიის წევრი.

მალხაზ ზაალიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ობიექტურ შეფასებაში. ის იყო 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით დადგენილი იქნა 3 მომწამვლელი ნივთიერება: ქლორაცეტოფენონი (ხაფი), სი–ესი და ქლორპიკრინი, რომლებიც გამოყენებული იყო საბჭოთა ჯარის მიერ მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას. ეს ფაქტი უყოყმანოდ იქნა აღიარებული საკავშირო კომისიის მიერ (თავმჯდომარე ა. სობჩაკი).

წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას და ყველაფერი გააკეთა ბიბლიოთეკის გამართული ფუნქციონირებისთვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მეცნიერთა და სტუდენტთა საქმიანობისთვის.

1997 წელს აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სიცოცხლის ბოლომდე მალხაზ ზაალიშვილი ანცვიფრებდა გარშემომყოფთ შესაშური მეხსიერებით, უშრეტი ენერგიით, მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, ყოველივე ახლის შენებისა და შემეცნების დაუოკებელი სწრაფვით.

დიდია მალხაზ ზაალიშვილის ამაგი საქართველოში ბიოფიზიკოსებისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტთა თაობების აღზრდის საქმეში. აკად. მ. ზაალიშვილის, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის განვითარებას.

მისი საოცარი ორგანიზაციული უნარი, დაუცხრომელი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა მკვლევარებისთვის. ვისურვებდით, რომ ქართულ მეცნიერებას მომავალშიც ჰყავდეს ისეთი ერთგული მსახურნი, როგორიც იყო ბატონი მალხაზ ზაალიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება



ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილესთვის მზადება დაიწყო

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე წლის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად შეიქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საუნივერსიტეტო საზოგადოების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საპატრიარქოს წარმომადგენლებით, უნივერსიტეტების რექტორებით.

„სექტემბრიდან დავიწყებთ აქტიურ სამზადისს, რომ ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილე არა მარტო უნივერსიტეტმა, არამედ მთელმა ქვეყანამ იზეიმოს“, – განაცხადა **ჯაბა სამუშია.**

წიგნის საერთაშორისო დღე და შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების დღე, 23 აპრილი იუნესკომ წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სტუმრებს, თბილისის 172-ე საჯარო სკოლის „ღირებულებითი განათლების კლუბის“ წევრ მოსწავლეებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია შეხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, კონსტანტინე გამსახურდია მოსწავლეებს წიგნიერების მნიშვნელობაზე, ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიასა და ქართული დამწერლობის წარმოშობაზე ესაუბრა. მან მოსწავლეებს გააცნო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებისა და აქ დაცული იშვიათი გამოცემების შესახებ ინფორმაცია.

„წიგნი თანამედროვე ეპოქაში ხშირად მოდაში აღარ არის, რადგან წიგნები უკვე ინტერნეტშია ატვირთული. ეროვნულ ბიბლიოთეკას ციფრული ბაზებიც აქვს, მაგრამ ჩვენს ფონდებში 4 მილიონზე მეტი წიგნი ინახება, მათ შორისაა იშვიათი გამოცემები. პირველი ქართული სტამბა 1709 წელს მეფე ვახტანგ VI გამართა. მას ქართველი ანთიმოზ ივერიელი დაეხმარა. ამ სტამბაში დაიბეჭდა საღვთო წიგნები, „ვეფხისტყაოსანი“. წიგნი ევროპაში უფრო ადრე, XV საუკუნეში გაჩნდა. მანამდე იყო ხელნაწერები. ჩვენი ბიბლიოთეკა, რომელიც 1846 წლიდან არსებობს, ძველნაბეჭდ წიგნებსაც ინახავს და თანამედროვე ეპოქასაც უწყობს ფეხს“, – თქვა **კონსტანტინე გამსახურდიამ.**

ღმერთმა გვიმრავლოს ფცქიალაძეები!..

გვარის ისტორიის შესწავლა გრძელდება

გრძელდება ქართული გვარების დალოცვა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ. გასახარია, რომ გვარების ისტორიის საფუძვლიანად შესწავლასთან ერთად, ერში მტკიცდება ქრისტიანული ცხოვრების წესი.

ფცქიალაძეები

ფცქიალაძეების გვარის დალოცვისთვის მზადების პერიოდში შეიქმნა ფსალმუნთა კითხვის ჯგუფი, აღევლინა წირვები, გატონ ლევან გერაიას დახმარებით მოძიებული და შესწავლილი იქნა მასალები გვარის ისტორიიდან, დაიწერა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საგვარეულო ხატი. შეიქმნა გერბი, დროშა, საგვარეულო ნიშანი.

გერბზე გამოსახულია საბრძოლო ფარი, წმიდა დიდმოწამე გიორგი, ციხე-სიმაგრე და ბარაქის რქა.

დროშაზე გამოსახულია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და წმიდა გიორგი.

გვარის ჰიმნად იქცა სახალხო მთქმელის, გატონ ვიტალი ფცქიალაძის ლექსზე შექმნილი „სიმღერა საქართველოზე“ (მუსიკის ავტორი, კომპოზიტორი ალ. ხახიშვილი). გვარის წინამძღოლად აირჩიეს გატონი ვახტანგ ფცქიალაძე. მომზადდა და დაიგეჯდა ფცქიალაძეების საგვარეულო წიგნი.

პატრიარქის მიერ ფცქიალაძეების გვარი დაილოცა 2024 წლის 15 სექტემბერს. იმ დღიდანვე დაიწყო საგვარეულო ხატის გადაბრძანების ისტორია ოჯახებში და მისი კურთხევა (ამჟამად ხატი დაბრძანებულია ხაშურის წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში). ერთ-ერთი ისტორიული ცნობა ფცქიალაძეების გვარის შესახებ XVII საუკუნეს განეკუთვნება. იგი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში. ფცქიალაძეების საგვარეულოს ძირითადი ნაწილი იმერეთში მკვიდრობს. ხარაგაულში (ჭარტალი, მოლითი, ბაბი, მარელისი, ჯაფაროული); ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, ჭიათურაში (სოფ. გეზრული), ცხოვრობენ ქართლში, ხაშურში (ცხრამუხა), გორში (დიცი და მერეთი), კახეთში – ლაგოდეხში (სოფ. ვარდისუბანი), ბორჯომში, ახალციხეში (ბოგა, წნისი, კლდე). თბილისში, რუსთავში, ბათუმში.

სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მონაცემებით 2024 წელს საქართველოში 656 ფცქიალაძე ცხოვრობდა.

ფცქიალაძეების გვარის წარმომავლობის რამდენიმე ვერსია არსებობს.

პირველი: მთიულეთში, მლეთასთან მდებარე სოფელ ჭართლიდან გადმოყვანილი ციხეთა მაშენებელი წინაპრები, ციხე-კოშკის აგების შემდეგ, ხარაგაულის ახლოს, მაღალ მთაზე დარჩენილან კოშკის მცველებად. დასახლებულან, გამრავლებულან და ამ სოფლისთვისაც ჭართალი დაურქმევიათ.

მეორე ვერსიით, გორის მაზრის სოფელ საფურცლიადან მეციხოვნე ფურცელაძეები იმერეთში გადმოსულან და ფცქიალაძეებად დაწერილან.

მესამე: ისტორიულად, გადმოცემით, თურქთა ტყვეობიდან სასწაულებრივად გამოხსნილ ყიფიანების ტყუპისცალს შერთეს ჩერქეზიშვილის ქალი, რომელსაც მზითევში გამოაყოლეს მეციხოვნე ფურცელაძეები. ცქვიტი, სწრაფი მიხრა-მოხრის გამო მათზე თურმე ამბობდნენ, როგორ დაფცქიალებენო და ასე ეწოდათ ფცქიალაძეები. უდავოა ის, რომ ისინი მუდამ იყვნენ სასიგნალო ციხე კოშკის მცველები. მტრის შემოსევისას, საომრად მომზადებისა და მოსახლეობის გახიზვნისათვის ჭარტლის ციხე-კოშკი ანთებული ცეცხლით სიგნალს იღებდა ვახანიდან და გადასცემდა მოლითის ციხეს. ფცქიალაძეები სწორედ სოფელ ჭარტალში ეწეოდნენ მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, მევენახეობას დიდი და ძლიერი სოფელი ყოფილა. ერთ დაძახილზე 35 უღელი ხარკამეჩი გამოჰყავდათო სოფლიდან ქვეყნის საჭიროებისათვის, იბრძოდნენ, იცავდნენ რწმენას და საქართველოს ძლიერებას. სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები მეორე მსოფლიო ომშიც მონაწილეობდნენ. ფცქიალაძეების გვარიდან ბევრი ახალგაზრდა შეეწირა მტერთან ბრძოლას. ვალმოხდილებიც დაბრუნდნენ და ოჯახები ააღორძინეს. მეორე მსოფლიო ომის წლებში ზემო იმერეთის მცირემიწიანი გლეხები მესხეთში, ახალციხეში, ადიგენში, ასპინძაში გადაასახლეს. წლების შემდეგ მცირე ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ასე გაიფანტნენ ფცქიალაძეებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მონაზონი ეფემია

საუკუნეების მანძილზე ფცქიალაძეების მფარველი წმიდა დიდმოწამე გიორგი იყო, მაღალ მთაზეც მისი სახელობის ტაძარი მდგარა. კომუნისტებს დაუნგრევიათ. დღესაც არსებობს საკურთხევლის ნაწილი (გვარისშვილები გეგმავენ ტაძრის და ციხე-კოშკის აღდგენას).

საუკუნეების მანძილზე გვარში სასულიერო პირებიც იქნებოდნენ. ამჟამად ხაშურისა და სურამის ეპარქიაში მსახურობს წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მიქაელ ფცქიალაძე. რუის-ურბნისის ეპარქიაში, ჩერმენაულის დედათა მონასტერშია მონოზონი ეფემია. შრომის გმირი იყო რკინიგზელი გერონტი ფცქიალაძე. ისტორიის ქარტეხილებში ჩაიკარგა გმირთა სახელები, თავს რომ სწირავდნენ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. მათთან ერთად ჩვეულებრივი ადამიანებიც ქმნიდნენ ერის ისტორიას.

ყველა გვარი, ყველა დროში უზრდიდა უფალს სამშობლოს ერთგულ შვილებს. ფცქიალაძეებიც შრომობდნენ, აშენებდნენ, იბრძოდნენ. ზეპირ გადმოცემებში ცოცხლდებიან მათი უკვე გაიშვიათებული სახელები: ფირანა, გლახინა, თანდილა, თევდორე, ბასილა, სამი ომის მონაწილე ყოფილა გიორგი ფცქიალაძე. დღეისთვის ცოცხალთაგან (2025 წ.) უხუცესია ჯემალ ფცქიალაძე, 83 წლის, ინჟინერი, ხაშურის ნავთობბაზის ყოფილი დირექტორი. მცირე ჩამონათვალი წარმოდგენას შექმნის სხვადასხვა თაობის გვარის შვილებზე:

თეოფილე ფცქიალაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბაქოს რკ.გზის სადგურის უფროსი;

ვალერიან ფცქიალაძე, გორის მაზრის მოსამართლე (1932-1937წწ);

გოდერძი ფცქიალაძე, უმაღლესი რანგის მშენებელ-ინჟინერი;

ლამარა ფცქიალაძე, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი;

ნოდარ ფცქიალაძე, კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

გურამ ფცქიალაძე, მოლითის სკოლის დირექტორი;

ზურაბ ფცქიალაძე, ფილოლოგი, ისტორიკოსი, მარელისის სკოლის დირექტორი;

ეთერ ფცქიალაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. თბილისის ოპერის თეატრის მომღერალი;

დავით ფცქიალაძე, საპატიო რკინიგზელი, ელმავლის მემანქანე-ინსტრუქტორი;

გიორგი (ჟორა) ფცქიალაძე, აფხაზეთის ტყესაზიდი გზების მშენებლობის უფროსი;

ვიტალი ფცქიალაძე, ინჟინერ-ენერგეტიკოსი. სახალხო მთქმელი. საქართველოს ფოლკლორული ფესტივლების ლაურეატი, პოეტური კრებულის ავტორი;

გელა ფცქიალაძე, სააქციო საზოგადოება „ყაზბეგის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

გორის (ალექსი) ფცქიალაძე, ქუთაისის მესამე სამუსიკო სკოლის დირექტორი;

რუსლან ფცქიალაძე, წყალმომარაგების ინჟინერი;

გურამ ფცქიალაძე, აფხაზეთის სატყეო მეურნეობის სამინისტროს მშენებლობის განყოფილების უფროსი;

თეიმურაზ ფცქიალაძე, ფინანსისტ-ეკონომისტი, ხარაგაულის პატრიოტთა ალიანსის ბიუროს თავმჯდომარე, ხარაგაულის საკათედრო ტაძრის სტიქარო-სანი;

ლია ფცქიალაძე, ექიმი ეპიდემიოლოგი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის განყოფილების გამგე;

ირმა ფცქიალაძე, მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი (ცხოვრობს და მოღვაწეობს საფრანგეთში);

ნინო ფცქიალაძე, მხატვარი, ფერმწერი, მათემატიკოსი, პედაგოგი;

ნინო ფცქიალაძე, მუსიკოლოგი, კინომცოდნე, პედაგოგი;

ვაჟა ფცქიალაძე, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკი, ღირსების და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენების კავალერი, ოქროს მედლის მფლობელი.

გვარში მრავლად გვყავს სახელოვანი ადამიანები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მეღვინეები, სპორტსმენები, ექიმები, ჯარისკაცები, რკინიგზელები, ბიზნესმენები, სტუდენტები, ჟურნალისტები და სხვ.

გვარისთვის დიდი პატივია ხელმოწერა პატრიარქისადმი მადლიერების გრაგნილზე.

ფცქიალაძეები კვლავაც აგრძელებენ მასალების მოძიებას, რათა შევსებული და საფუძვლიანად შესწავლილი იქნას გვარის ისტორია. გვარის შეკრების დღედ ჩანიშნულია 14 სექტემბერი (საეკლესიო ახალი წლის დასაწყისი).

ფცქიალაძეებს ახასიათებთ ერთსულოვნება, თანადგომა, ქრისტესმიერი სიყვარული, ქველმოქმედება. იღვწიან უფლის სადიდებლად და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. ღმერთმა გააძლიეროს და ამრავლოს ფცქიალაძეთა გვარი.

ვახტანგ ფცქიალაძე,
ფცქიალაძეების გვარის წინამძღოლი.

ეშმაკი დეტალებში იმალება!

(მეხუთე გვერდიდან)

თეთრი სახლი დიპლომატიური პროცესის დაწყებამდე აცხადებდა, რომ დათმობაზე ორივე მხარე უნდა წავიდეს – მოსკოვიც და კიევიც. უკრაინის პოზიცია აშშ-სათვის მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილია, მაგრამ დათანხმდება თუ არა მოსკოვი? მიუხედავად იმისა, რომ კრემლი, ტრამპის გეგმის მიხედვით, დონბასს და ყირიმს იღებს, მისთვის მაინც მტკივნეული იქნება ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების დარჩენილი ტერიტორიების კიევის კონტროლქვეშ დატოვება. რუსეთის კონსტიტუციის თანახმად, აღნიშნული ოლქების ტერიტორიები სრულად შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ვლადიმერ პუტინს უკანდახევა მოუწევს.



მარკო რუბიოს ვიზიტი: რა მოჰყვება მის გაუქმებას!

როგორც უკრაინაში „ბიბისის“ კორესპონდენტი სვიატოსლავ ხომენკო აღნიშნავს, კიევის მოქმედების ლოგიკა „ამერიკული გეგმის“ მიმართ სრულიად გასაგებია, მაგრამ რჩება კითხვა: რა იქნება შემდეგ?

თუ ამერიკელები „უკრაინულ ტრეკს“ მართლაც მიატოვებენ, ამით დონალდ ტრამპის პირველ მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ მარცხს აღიარებენ და დაადასტურებენ იმას, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე ეფექტური მომლაპარაკებელი არ არის. ბუნებრივია, სიტუაციის ასეთი განვითარება თეთრ სახლს არ აწყობს. მაგრამ რას იზამს ვაშინგტონი, ამერიკელები კიევისათვის უფრო პოზიტიურ და მისაღებ გეგმას მოამზადებენ?

რას მოიმოქმედებენ ევროპელები? განა ისინი მოკლე დროში შეძლებენ ამერიკელთა ჩანაცვლებას სამხედრო დახმარების თვალსაზრისით, თუ თეთრი სახლი, თავისი სამშვიდობო მისიის წარუმატებლობის შემდეგ, უკრაინას მიატოვებს? შეეცდებიან ევროპელები კიევსა და ვაშინგტონს შორის ხიდის აღდგენას? ან საკუთარ ფარგლებში ჩაიკეტებიან და მოემზადებიან შტორმისათვის, რომელიც ევროპას ელოდება ამერიკელების წასვლის შემდეგ?

დღეისათვის ისე ჩანს, რომ ამ სიუჟეტებში შესაძლოა მოულოდნელი მოვლენები მოხდეს. მაგალითად, ვთქვათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკება გაიმართოს არა ლონდონში ან ერ-რიადში, არამედ... რომში, პაპ ფრანცისკას დაკრძალვის დროს, სადაც შაბათს გაემგზავრებიან როგორც დონალდ ტრამპი და სხვა ევროპელი პირველი პირები, ასევე უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც.

შესაძლოა, ვიღაცებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მომხდარი უცნაური ინციდენტისა და აშშ-უკრაინის ურთიერთობების კრიზისის შემდეგ კიევი დარწმუნდება, რომ ვაშინგტონთან მოლაპარაკებაში ჭირვეულობით თვითონ ზარალდება და ამიტომ შეეცდება თავი აარიდოს კონფრონტაციას... მაგრამ ლონდონის მოლაპარაკებების ჩაშლამ აჩვენა, რომ უკრაინას ჯერ კიდევ აქვს უნარი ამერიკას შეეწინააღმდეგოს და მის გეგმას „არა“ უთხრას.

„დონალდ ტრამპის გეგმა“, რომლის პრეზენტაციას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ელოდნენ, ინაუგურაციის მომდევნო დღეებში, როგორც აღმოჩნდა, უფრო მეტად ომში რუსეთის მიზნების რეფერატს მოგვაგონებს, ვიდრე ურთიერთდათმობების დაფიქსირებას. მოკლედ, თეთრი სახლის შეთავაზება უფრო მეტად კრემლისთვისაა მომგებიანი, ამიტომაც კიევის ნეგატიური რეაქცია გასაკვირი არ არის.

თეთრი სახლის მიერ შეთავაზებული გეგმა, როცა უკრაინას უსაფრთხოების გარანტია არ აქვს და თანაც ამერიკელები, ალბათ, დახმარებას შეამცირებენ, კიევისათვის მომგებიან პირობებს არ შეიცავს. და საერთოდ, უკრაინა დონალდ ტრამპის გეგმას რომც დაეთანხმოს, სადაა იმის გარანტია, რომ გეგმა მოსკოვისთვისაც მისაღები იქნება? ვლადიმერ პუტინმა რომ ტრადიციულად თქვას – „ჩვენ, ცხადია, ვეთანხმებით, მაგრამ...“ – და შემდეგ ნათქვამს ახალი მოთხოვნების გრძელ ჩამონათვალს მოაყოლებს, მაგალითად, კიევმა ოფიციალური უარი უნდა თქვას ოთხ ოლქზე და დემილიტარიზება უნდა განახორციელოსო, რას გააკეთებს ტრამპი?

მოამგაზდა
სიმონ კილაძემ

ინდოეთში ტურისტებს ცეცხლი გაუხსნეს...

დაღუპულია 26 ადამიანი!

ქაშმირის პროვინციაში, ინდოეთის მიერ კონტროლირებად ნაწილში შეიარაღებულმა პირებმა ტურისტების ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს, შედეგად დაიღუპა 26 ადამიანი, დაჭრილია 17 პირი.

ინდური მედიის ცნობით, თავდასხმაში ორი ან სამი პირი მონაწილეობდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ნაკლებად ცნობილმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ „ქაშმირის წინააღმდეგობამ“ აიღო.

დაჯგუფების განცხადებაში აღნიშნულია, რომ რეგიონში 85 ათასი უცხოელი დასახლდა, რამაც დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვია. ამის გამო დაჯგუფება იმუქრება, რომ მათ, ვინც არალეგალურად ცდილობს რეგიონში დასახლებას, ძალადობით უპასუხებენ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ შეწყვიტა მოგზაურობა და დელიში დაბრუნდა, რათა უსაფრთხოების ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართოს. მან მომხდარს ტერორისტული თავდასხმა უწოდა და პირობა დადო, რომ ამის ჩამდენები პასუხისგების გარეშე არ დარჩებიან.

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 11 აპრილის N 1-1/130 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. „წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. ეგხ „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა ეგხს ზემოქმედების არეალში მოქცეული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ოფშკვითში მდებარე გრიგოლ ბოჭორიშვილის (ს/ნ 53001013438) საკუთრებაში არსებული 20 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 29.16.33.451) ნაწილის, კერძოდ, 452 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა. ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (452 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 11 აპრილს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/130** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ოფშკვითში მდებარე გრიგოლ ბოჭორიშვილის (ს/ნ 53001013438) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

– **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.16.33.451; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 20 000 კვ.მ.-ის ნაწილი – 452 კვ.მ.** პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 11 აპრილის N 1-1/130 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. „წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. ეგხ „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა ეგხს ზემოქმედების არეალში მოქცეული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა მესხეთში მდებარე ირაკლი ჭელიძის (ს/ნ 60401173461) საკუთრებაში არსებული 6581 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 29.13.32.361) ნაწილის, კერძოდ, 29 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა. ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (29 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 11 აპრილს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/130** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა მესხეთში მდებარე ირაკლი ჭელიძის (ს/ნ 60401173461) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

– **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.13.32.361; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 6581 კვ.მ.-ის ნაწილი – 29 კვ.მ.** პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.



მსოფლიოს შემდეგ — ევროპა!

გიორგი სარდალაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა. ქართველმა ძიუდოისტმა მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცაში მიმდინარე კონტინენტის პირველობაზე შესანიშნავად იასპარეზა.

60 კგ წონით კატეგორიაში მან უნგრელი მარტონ ანდრაში, სომეხი აშიკ ანდრეიანი და ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი დაამარცხა, ხოლო ფინალში რუსი იაუგ ბლიევის ძლევაც მოახერხა და ოქროს მედალი არავის დაუთმო.

ასე რომ, სარდალაშვილი უკვე მსოფლიოს ჩემპიონიცაა და ევროპის ჩემპიონიც.

იმავე დღესვე თემურ ნოზაძე, ვაჟა მარგველაშვილი და ჯულიეტა როდონაია უმედლოდ დარჩნენ.



ეთერ ლიპარტელიანმა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა!

ეთერ ლიპარტელიანი ევროპის ვიცე-ჩემპიონია. ქალთა შორის 57 კგ წონით კატეგორიაში ქართველი სპორტსმენი შეჯიბრების ფინალში გერმანელ სეია ბალჰაუსთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

2022 და 2024 წლებში ლიპარტელიანი კონტინენტის პირველობაზე ორჯერ იყო ბრინჯაოს პრიზიორი.

აღნიშნული მედალი საქართველოს ნაკრებისთვის კონტინენტის პირველობაზე მეორეა. **ლაშა შავდათუაშვილმა გუშინ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა დათმო ფრანგ ბენუამინ გაბასთან...**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ბლოკის პირდაპირ რეპორტაჟს საქართველოს პირველი არხი გთავაზობთ.

ამ კაცს დაეჯერება

ლეგენდარულმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ლუიშ ფიგუმ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონზე კომენტარი გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, რთულია გამარჯვებულის შესახებ პროგნოზის გაკეთება, თუმცა მაინც ფიქრობს, რომ პსჟ-ს ყველაზე კარგი შანსი აქვს:

„ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგას „პარი სენ-ჟერმენი“ მოიგებს, რომელსაც სტაბილური შედეგები აქვს და შესანიშნავ კონდიციაშია. თუმცა, დანამდვილებით თქმა რთულია, ამიტომ, არ მინდა, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის შესახებ საბოლოო პროგნოზის გაკეთება.

„ბარსელონა“ – „ინტერი“? ორი განსხვავებული სტილის გუნდია. თუმცა, „ინტერი“ მხოლოდ დაცვა არ არის. ვინც ასე ფიქრობს, ცდება. „ინტერს“ ტრენერის მოგებაც შეეძლო. ინძაგის გუნდი დაცვაში ძალიან მყარია, ჩემპიონთა ლიგაზე ცოტა გოლი გაუშვა, მაგრამ ასევე ჰყავს ფეხბურთელები, რომლებსაც თამაშში განსხვავების შექმნა შეუძლიათ. ამიტომ, უფრო სრულყოფილი ანალიზი უნდა გავაკეთოთ და მხოლოდ ის არ ვთქვათ, რომ ეს მხოლოდ დაცვითი გუნდია“, – აღნიშნა ფიგუმ.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში ერთმანეთს „არსენალი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ და „ბარსელონა“ – „ინტერი“ შეხვდებიან.

88 წლის სპორტსმენი ელგუჯა ორჯონიკიძე ასაკს არ ემორჩილება

წელს უკვე მეორედ ვწერთ ცნობილი სამთო-მოთხილამურის, 88 წლის ელგუჯა ორჯონიკიძის წარმატებებზე, რომელმაც მარტის დასაწყისში, ჩეხეთსა და ავსტრიაში გვასახელა. 8-9 მარტს ჩეხეთში, ხოლო შემდეგ ავსტრიის ქალაქ შლადმინგის სამთო-სათხილამურო ტრასაზე იასპარეზა, სადაც მასთან ერთად სტარტზე 140 ვეტერანი სპორტსმენი გამოვიდა.

ვეტერანები რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში გაერთიანდნენ. ბატონ ელგუჯას ყველაზე უფროს ასაკობრივ ჯგუფში (85-90-წლიანები) მოუწია ასპარეზობა, სადაც ამჯერად წარსულში ცნობილი ვეტერანები გამოდიოდნენ სტარტზე. ქართველი სამთო-მოთხილამურის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ იგი ერთადერთი ჩვენებურია, რომელიც ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებებში მონაწილეობს.

ჯერ სუპერგიგანტში იასპარეზა, შემდეგ სლალომში და ორივე სახეობაში პირველი ადგილი და შეიმისი საპატიო თასები დაიმსახურა.

იმავე დღეებში ბატონი ელგუჯას შვილიშვილი **გიორგი თურქიაშვილი,** რომელიც 35-წლიანებში ასპარეზობდა, ბაბუას არ ჩამორჩა და ისიც ჩემპიონის სახელით დაუბრუნდა საქართველოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ელგუჯა 1956-1957 წლებში არაერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი, შვილებიც ზამთრის სპორტის სახეობებში ვარჯიშობდნენ – გია სწრაფდაშვებაში, ხოლო ელგუჯა (უმცროსი) ტრამპლინიდან ხტომაში შესანიშნავ შედეგებს აღწევდნენ და ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების სახელით ასპარეზობდნენ.

სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენის ელგუჯა ორჯონიკიძის მიღწევები ნამდვილად ფენომენალური და განსაკუთრებულია!

ვეტერანი სპორტსმენი წლებს არ ემორჩილება, კვლავ ახალგაზრდულად უძგერს გული. ღმერთმა შშვიდობა და დღეგრძელობა მისცეს!

ვალერიან ლომიძე.

შვილებთან — ქამრით!

UFC-ის ქვემსუბუქი დივიზიონის ქართველი მებრძოლი გიგა ჭიკაძე ოქტაგონზე ბრუნდება. ‘ნინძა“ მომდევნო ბრძოლას 27 აპრილს გამართავს და მისი მეტოქე დევიდ ონამა იქნება.



ბრძოლამდე გიგა ჭიკაძემ ინტერვიუ UFC-ის ოფიციალურ გვერდთან ჩაწერა, სადაც საკუთარ სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

„ბევრი ტრავმა მქონდა, რომელიც ალენთან ბრძოლის დროს მივიღე. ახლა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ სრულიად მზად ვარ და ერთი სული მაქვს ოქტაგონზე როდის შევალ. ბრძოლისთვის მენტალურად ყოველთვის მზად ვიყავი, მაგრამ ფიზიკურად არა. რეაბილიტაციისთვის დიდი დრო დამჭირდა და სიმართლე გითხრათ ჩემი თავის მიკვირს, რომ ამდენი ტრავმის შემდეგ კონდიციაში შესვლა შევძელი.

კარიერაში პირველად ბრძოლას ჩემი ოჯახიც დაესწრება, რაც ორმაგი მოტივაცია იქნება და ყველა წინააღმდეგობის დასაძლევად მზად ვარ. ჩემპიონობა მინდა, სხვა არაფერი მაინტერესებს, რადგან ჩემს შვილებს დავპირდი, რომ ერთ დღეს სახლში საჩემპიონო ქამრით დავბრუნდები. იმედი მაქვს ონამას დამარცხებით საჩემპიონო გზისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამ“, – განაცხადა **გიგა ჭიკაძემ.**

გიგა ჭიკაძემ ბოლო ბრძოლა გასული წლის ივლისში ინგლისელ არნოლდ ალენთან გამართა და მსაჯების გადაწყვეტილებით დამარცხდა. ქართველმა აღნიშნული ბრძოლის პირველ რაუნდში მხრის მყესი გაიწყვიტა და ჩხუბის დასრულება ტრავმით მოუწია. შეგახსენებთ, რომ გიგა ჭიკაძის UFC-ს რეკორდი 15-4-ზეა, ხოლო მისი მომდევნო მოწინააღმდეგის, დავიდ ონამას სტატისტიკა 13-2-ზეა.

საინტერესო იქნება

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, დიდი სლემის 24-გზის გამარჯვებული, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** მადრიდის „რეალის“ საშინაო სტადიონს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ესტუმრა და აზრი გამოთქვა, ჩაატარებს თუ არა იქ ჩოგბურთის მატჩს.

„რა სილამაზეა! ეს რაღაც განსაკუთრებულია! საუკეთესო სტადიონი მსოფლიოში, უბრალოდ საოცარი. წარმოუდგენელი იქნებოდა აქ ჩოგბურთის მატჩის თამაში. იქნებ... ვინ იცის? ერთ დღეს. ეს შესანიშნავი იქნებოდა“, - თქვა ნოლემ მადრიდის „რეალის” სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოში.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი მადრიდში მასტერსის ტურნირში მონაწილეობს.



ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲕᲐᲚᲛᲝᲙᲓᲘᲚᲘ ᲑᲘᲔᲢᲐ ᲐᲑᲨᲘᲚᲐᲕᲐ

უამრავი ლექსი, არა მარტო ჩვეულებრივი, სასიყვარულოდ, სასიმღეროდ, თავის მოსაწონებლად, მოსაფერებლად თუ საომრად დაწერილი, არამედ მოქარგულიც დაგვიტოვა, რომლის მსგავსის შექმნა ბიეტამდე არავის უცდია!

უამრავი გამოფენით და წიგნების წარდგენით გაუხარებია ქართველი თუ უცხოელი, ჩვენ მივეჩვიეთ ამას, რადგან წინასწარ ვიცოდით, თუ რას შემოგვთავაზებდა საგამოფენო დარბაზი, სადაც ბიეტას ნამუშევრები გამოიფინებოდა და ახალი:

– სასიყვარულოდ, სასიმღეროდ, თავის მოსაწონებლად, მოსაფერებლად თუ საომრად დაწერილი ლექსთა კრებული!

ბიეტას შემოქმედებითი საღამოების და წიგნთა განხილვების მუდმივ მონაწილეს არაერთხელ მითქვამს:

– ჩვენ დიდი ხანია, ბიეტა აბშილავამ გაგვანებივრა თავისი არაჩვეულებრივი შემოქმედებით და ხანდახან ბოლომდე ვერ ვამჩნევთ მის ბრწყინვალეებას, ამიტომ მშურს იმ უცხოელის, რომელმაც იგი პირველად იხილა და ინატრა:

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი,
გამაგონე ჩემს მამულში!“

ამისათვის უნდა მოვუსმინოთ ბატონ რუდიგერ ანდრესენს, გერმანელ მრავალგზის დოქტორს და პროფესორს, რომელმაც 18 უანგარო წელი აჩუქა ქართულ საუნივერსიტეტო განათლების სისტემას:

„სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, ვერ წარმომედგინა, გოეთეს, ჰაინეს და შილერის პოეზიაზე გაზრდილს ლექსი თუ გამაკვირვებდა, მაგრამ დიდხანს არ მიერთგულა ჩემმა სიამაყემ, რაშიც პირველი ბზარი ქართულ პოეზიასთან და პოეტებთან გაცნობამ გააჩინა!

დიდი ხანია ჩემს სამშობლოში ლექსმა და სულიერებამ ფასი დაკარგა, სხვა ღირებულებებმა გადაფარა ისინი, სულიერება ყოფიერებამ ჩაანაცვლა... მაგრამ საკაცობრიო ბედნიერებაა, რომ ისინი საქართველოში ცოცხლობს და მე მაქვს ბედნიერება, ამ ქვეყანაში ქართველებთან ერთად ვეზიარო მას!

ჩემო ძვირფასებო, ჯერ ტაშს ნუ დამიკრავთ, სათქმელი არ დამიმთავრებია, ეს ჯერ კიდევ არაფერია:

– მე რომ მეგონა ქართული ზემუსიკალური ლექსით მთავრდებოდა ჩემი აღფრთოვანება, მე დღეს კიდევ ერთი სასწაულის „აბრეშუმის ძაფით მოქარგული ლექს-შედევრების“ გამოფენის მომსწრე გავხდი!

არ ვიცი, რამდენად საკმარისია ჩემი მადლობა ქალბატონი ბიეტა აბშილავას მისამართით, მისი ავტოგრაფით დამშვენებული ლექსების კრებულის და „აბრეშუმის ძაფით მოქარგული ლექს-შედევრების“ ალბომის საპასუხოდ, გოეთეს, ჰაინეს, შილერის სამშობლოში რომ მიმაქვს, მაგრამ მე ვეცდები, ხელოვნების ამ საოცარი დარგის გავრცელება გერმანიაშიც ვცადო, თუ იგი ღმერთის მიერ მარტო ქართველებისთვის კოდირებული არ არის!“

ერთადერთი ვალი, ვისთანაც ცად ამაღლების შემდეგ დარჩა დასაბრუნებელი, ეს მისი ოდაბადე სენაკია, დიდი ხნის წინ ლექსად რომ გამოუთქვა:

„ჩემია ეს საქართველო, ამერ-იმერი სრულიად,
მაგრამ მე დასამარხავად ეგრისის მიწა მწყურია.
ნუ მიწყენთ, დედის გულში მსურს, ვინებივრო და ვთბებოდე,
მე სხვაგან დასამარხავად, სენაკო გენანებოდე!“

არც ეს ვალი გაიყოლა თან და სამუდამოდ დაუბრუნდა ეგრისის მიწას!

ამიერიდან, დედის სითბოსთან ერთად, შენი შარდენი, სევილი და ნოდარი თან გეყოლება.

ქალბატონი ნინო სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ საქაოდან. მე კი მადლობას გიხდი იმისათვის, რომ ყოველი ჩვენი შეხვედრა ნოდარს გაგონებდა და ძმად მიგაჩნდი!

ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი სული, ჩვენო ბიეტა!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ



ᲒᲕᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲒᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ ᲨᲔᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲚᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲝ ᲚᲔᲕᲐᲜ!

ᲕᲔᲠ ᲕᲔᲒᲣᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲣᲨᲘᲨᲐᲠᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲝ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲣᲙᲐᲪᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ, ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲛᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲘᲗᲑᲝᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲐᲕᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ, ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲘᲡᲙᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ ᲘᲓᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲘ.

ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲠᲗᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲐᲡᲕᲐ ᲓᲐᲦᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ, ᲗᲕᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲣᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲪᲐᲚᲔ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲚᲔᲕᲐᲜ!

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲨᲔᲜᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲔ.

ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗ ᲣᲤᲐᲚᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲬᲔᲡᲝᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑ!

ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ 1964-1969 ᲬᲚᲘᲡ 837 ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ᲜᲐᲠᲙᲝᲠᲔᲝᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ შეთანხმებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების, გასაღების მომზადების, გასაღების მცდელობისა და შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებული არიან: ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე, 1996 წელს დაბადებული უ.ჰ.; აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული ო.ა.; 2000 წელს დაბადებული ა.ს.; 1954 წელს დაბადებული ზ.ს. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1976 წელს დაბადებული დ.ს. და 1985 წელს დაბადებული ფ.ი. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები – „კოკაინი“, „მეტადონი“, „ჰეროინი“ და „მარიხუანა“ ამოიღეს.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲤᲡᲘᲥᲝᲢᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲕᲝᲜᲓᲐ

ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 2000 წელს დაბადებული რ.ო. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა სასაზღვრო-გამშვები პუნქტის, „სარფის“ ტერიტორიაზე, ბრალდებულის პირადი შემოწმების შედეგად, ფსიქოტროპული ნივთიერების, „პრეგაბალინის“ შემცველი 1581 კაფსულა აღმოაჩინეს. პოლიციამ რ.ო. ბრალდებულის სახით დააკავა.

ᲝᲰ, ᲔᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘ!!!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ აეროპორტის გზაზე მოტოციკლი ქვეითს დაეჯახა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.

შემთხვევის ამსახველ კადრებს სოციალურ ქსელში „ჩემი ქალაქი მკლავს“ ავრცელებენ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲯᲓᲝᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ!

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ავარიის შედეგად დაღუპული ცოლ-ქმრის ვინაობა ხდება ცნობილი. შემზარავ შემთხვევას ბიჭია და მარიკა ამბროსიშვილების სიცოცხლე ემსხვერპლა.

წყვილი საკუთარი სახლის წინ იჯდა, როცა მანქანა დაეჯახა. გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა საკუთარი სახლის წინ მჯდომ ცოლ-ქმარს დაეჯახა. ძლიერი შეჯახების შედეგად, ორივე ადგილზე გარდაიცვალა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘᲡ „ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ“ – ᲔᲥᲕᲡᲘ ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐ

ᲠᲝᲛᲨᲘ, პარიოლის რაიონში ბინაში შეღწევის მცდელობისა და დიდი რაოდენობის ძვირფასეულობის ქურდობის ფაქტზე 21 აპრილს საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს.

რომის პოლიციამ დამნაშავეები ერთ-ერთ კორპუსში, საცხოვრებელი ბინის კარის ხელსაწყოებით გაღების პროცესში დაიკავა. ჩხრეკის შედეგად, დაკავებულთა სახლიდან, მოპარული ნივთებით სავსე 6 ჩემოდანი ამოიღო – მათ შორის ძვირადღირებული საათები, ოქროს სამკაულები და დიზაინერული სამოსი (ნივთების ღირებულება ჯამში, 200 ათას ევროზე მეტია). ამავე ბინაში პოლიციამ საქართველოს 3 მოქალაქე აღმოაჩინა, რომლებიც ადგილობრივი მედიის თქმით, წარსულში იმავე დანაშაულების გამო იყვნენ ნასამართლევი, ხოლო ამჯერად მოპარულ ნივთებს აგროვებდნენ.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲚᲘᲜᲩᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲡ ბრალი ადგილობრივი მამაკაცის მკვლელობაში ედებოდა. ადგილობრივებმა ის პოლიციის შენობიდან ძალის გამოყენებით გამოიყვანეს და ცეცხლი წაუკიდეს.

მკვლელობა ეკვადორში, ამაზონის რეგიონის კუიაბენოს ველური ბუნების თავშესაფარში მოხდა. დაკავებული ტურისტი პოლიციის განყოფილებაში 6 საათი ჰყავდათ, თუმცა სამართალდამცველებმა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს, – წერს მედია. პოლიციის შენობის წინ ცოცხლად დამწვარი ბრალდებულის კადრები სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

ᲝᲗᲮᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲫᲔᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, სოფელ უდეში დაკარგული თორნიკე გვარამაძე მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვლილის ცხედარი პროზექტურაშია გადაყვანილი.

თორნიკე სახლიდან 21 აპრილს გავიდა. ოჯახის წევრებთან ერთად, არასრულწლოვანს ადგილობრივები, პოლიცია და სამაშველო ჯგუფები ეძებდნენ. გარდაცვალების ფაქტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროც.

2025 წლის პირველ კვარტალში ტურისტული ვიზიტების ისტორიული მაქსიმუმი – 958,947 სტუმარი დადასტურდა

საქართველოში 2025 წლის იანვარი-მარტის პერიოდში, საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და ისტორიული მაქსიმუმი – 958,947 ვიზიტი შეადგინა, ზრდა 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +2.2%-ია. გაზრდილია საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტებიც, 2025 წლის პირველ კვარტალში 1,314,828 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც +1.1%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2025 წლის I კვარტალში ზრდა დადასტურდა შემდეგი ქვეყნებიდან: ისრაელი (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +72.9%); ინდოეთი (+27.7%); ჩინეთი (+40.1%); იორდანია (+44.7%), საუდის არაბეთი (+8.3%). ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი ზრდა იყო ნიდერლანდებიდან +22.3%; სლოვაკეთი +19.9%; ჩეხეთიდან +16.9%; იტალია +10.1% და საბერძნეთი +9.7%.

მათიას უნგერის საჩუქარი წიგნის მოყვარულებს



საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას მისმა დიდმა მეგობარმა მათიას უნგერმა წიგნები, ძირითადად ქართველოლოგიური ლიტერატურა, გადასცა საჩუქრად.

მათიას უნგერი უკვე წლებია მეგობრობს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და პერიოდულად საჩუქრად უგზავნის მნიშვნელოვან უცხოურ გამოცემებს.

„ოსკარი“ ხელოვნურ ინტელექტს!



ამერიკულმა კინოაკადემიამ გადაწყვიტა, რომ ეს უკვე შესაძლებელია

ამერიკის კინოაკადემიის განცხადებით, ხელოვნური ინტელექტის (AI) დახმარებით გადაღებულ ფილმებს „ოსკარის“ მოპოვების შანსი ექნებათ.

კინოაკადემიამ, რომელიც ამ ცერემონიის ორგანიზატორია, ორშაბათს ახალი წესები გამოსცა, რომლებშიც ნათქვამია, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება „არც დაეხმარება და არც ხელს არ შეუშლის ნომინაციის მიღწევის შანსებს“.

გენერაციული ხელოვნური ინტელექტი – რომელსაც შეუძლია შექმნას ტექსტი, სურათები, აუდიო და ვიდეო მარტივი ტექსტური მოთხოვნის საპასუხოდ – მარტში დაჯილდოებული რამდენიმე კინოსურათის წარმოების დროს გამოიყენეს.

თუმცა კინოაკადემია ასევე აცხადებს, რომ გამარჯვებულის შერჩევისას ადამიანის მონაწილეობის ფაქტორი გათვალისწინებული იქნება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კინოინდუსტრიაში – ეს თემა განსაკუთრებულად აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ადრიან ბროუდმ მარტში „ოსკარი“ მოიპოვა საუკეთესო მსახიობი მამაკაცის როლისთვის ფილმ „ბრუტალისტში“.

ფილმმა გენერაციული ხელოვნური ინტელექტი გამოიყენა მსახიობის აქცენტის გასაუმჯობესებლად, როდესაც ის უნგრულად საუბრობდა. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მსგავსი ტექნოლოგია „ოსკაროსან“ მიუზიკლ „ემილია პერესზე“ მუშაობის დროსაც გამოიყენეს.

სცენარისტები შიშობენ, რომ დროთა განმავლობაში ხელოვნური ინტელექტი მათ სამსახურის გარეშე დატოვებს.

კლიმატური პიროზების გაუარესების გამო დედამიწის ზედაპირი შეცვლილია!

„ცისფერი მარმარილო“ – ასე ჰქვია NASA-ს ეკიპაჟიანი მთვარის მისიის, „აპოლო 17“-ის წევრების მიერ დედამიწისთვის გადაღებულ ფოტოს. იგი ზუსტად 53 წლის წინ იყო გადაღებული.

კამერა Hasselblad-ით გადაღებული ეს სურათი პირველი იყო, რომელზეც დედამიწის მთლიანი სიმრგვალე იყო ასახული. იქამდე, დედამიწა კაცობრიობას მხოლოდ ფრაგმენტირებულად ჰქონდა ნანახი. 53 წლის შემდეგ პლანეტის ახალ ფოტოებზე, რომლებიც ძველს შეადარეს, ცვლილებები დაინახეს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ კაცობრიობა ძალიან ჩქარი ტემპებით ცვლის დედამიწას და ეს თუ აქამდე არც თუ ისე შესამჩნევი იყო, ახლა თვალში საცემია. ურბანიზაცია, ტყეების გაჩეხა, გამონაბოლქვი, დაბინძურებული ადგილები – ეს ყველაფერი დედამიწის იერსახეს ცვლის.

ასტრონომების თქმით, მთავარი, რაც კოსმოსიდან გადაღებულ დედამიწის ზედაპირზე ჩანს – ეს არის გაჩეხილი ტყეები და მცენარეები! ასევე, მეცნიერებმა ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის მკვეთრი შემცირება აღნიშნეს, რაც კლიმატის ცვლილების მთავარი ინდიკატორია. ასტრონომები ასევე ადასტურებენ ქალაქების მკვეთრ მატებას და განაშენიანების ზრდას, გაზრდილია ხანძრების რიცხვიც!



კოალების „ჰუმანური“ განადგურება

ავსტრალიაში, სნაიპერებმა ვერტმფრენიდან 700-ზე მეტი კოალა მოკლეს. ვიქტორიის ხელისუფლების განცხადებით, მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, რადგან მარტში, ბუჯ ბიმის ეროვნულ პარკში მასიური ხანძრის შემდეგ, კოალები საკვების და წყლის გარეშე იყვნენ დარჩენილები, ტრავმები ჰქონდათ და ნელ-ნელა კვდებოდნენ.

„ჰუმანური“ მასობრივი სროლა ცხოველთა უფლებების დამცველებმა მწვავედ გააკრიტიკეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ჰაერიდან შეუძლებელია იმის დადგენა, ცხოველი ჯანმრთელია თუ არა. ცხოველთა დამცველების განცხადებით, ხელისუფლებამ 700-ზე მეტი კოალა უკვე მოკლა და ისინი შიშობენ, რომ მოკლული ცხოველების რაოდენობა გაიზრდება.

ევროკომისიამ «ეფლი» 500 მილიონით, ხოლო «მეტა» – 200 მილიონი ევროთი დააჯარიმა

ევროკომისიამ დაადგინა, რომ კომპანიებმა „ეფლმა“ და „მეტამ“ ციფრული ბაზრების შესახებ ევროკავშირში მოქმედი კანონი დაარღვიეს. ჯარიმა 700 მილიონ ევროს შეადგენს. ამის შესახებ ევროკომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი. კონკრეტულად, კომპანია „ეფლს“ – 500 მილიონის, ხოლო „მეტას“ – 200 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.



განცხადებაში აღნიშნულია, რომ, ევროკავშირში მოქმედი კანონით, სმარტფონების აპლიკაციების შემქმნელებს, რომლებიც საკუთარ პროდუქტს „ეფლის“ მაღაზიის – „ეფლ სთორის“ გამოყენებით ავრცელებენ, აქვთ ვალდებულება, უფასოდ მიაწოდონ ინფორმაცია მომხმარებლებს ალტერნატიული აპლიკაციების შესახებ, რომელთა ტელეფონში ჩატვირთვა „ეფლ სთორის“ გარეშეც არის შესაძლებელი. ასევე, აქვთ ვალდებულება, გადაამისამართონ მომხმარებლები ამ აპლიკაციებთან და მისცენ შესაძლებლობა, პროდუქტი „ეფლის“ ეკოსისტემის გარეთაც შეისყიდონ. როგორც ევროკომისიამ დაადგინა, კომპანია „ეფლი“ გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, რაც არ აძლევს უფლებას აპლიკაციების შემძენებსა და მომხმარებლებს, სრულად ისარგებლონ პროდუქციის გავრცელების ალტერნატიული არხების უპირატესობებით ან უფრო იაფად შეიძინონ აპლიკაციები. ევროკომისიაში ამბობენ, რომ კომპანია „ეფლმა“ ვერ დაადასტურა მის მიერ დაწესებული შეზღუდვების პროპორციულობა და საჭიროება. ამის გამო კომისია მოუწოდებს კომპანიას, აღმოფხვრას ტექნიკური და კომერციული ბარიერები, რომლებიც უშლის ხელს მომხმარებელთა ინფორმირების თავისუფლების მექანიზმის აღსრულებას და მომავალში თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან.

რაც შეეხება კომპანია „მეტას“, ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობით, მსხვილი ონლაინ-პლატფორმები ვალდებულები არიან, მიიღონ მომხმარებლების ნებართვა სხვადასხვა სერვისიდან მათი პერსონალური მონაცემების გასაერთიანებლად. თუ მომხმარებელი უარს იტყვის, მას უნდა შესთავაზონ სერვისის ალტერნატიული ვერსია, რომელიც ნაკლებ პერსონალურ მონაცემებს იყენებს, თუმცა ფუნქციურად იგივეა.

ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ეფლმა“ და „მეტამ“ უნდა შეასრულონ კომისიის გადაწყვეტილება 60 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიებს პერიოდულად დააჯარიმებენ.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაგელიძე, გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 28 აპრილს